

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (№ 646, 1984 წ., 31 აგვისტო) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები ქვეყნდება თანდათანობით, ბიულეტენების სახით, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედება „ნორმათა“ II კრებულს.

წინამდებარე ბიულეტენი რიგით მესამეა (№№ 1-2 გამოვიდა 1985 წელს). მასში შესულია სხვადასხვა დროს დამტკიცებული შვიდი ნორმა. №№ 1-3 ბიულეტენებში გამოქვეყნებული ნორმების პროექტები შთაბეჭადეს:

ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა: ა) ეკონომიკის ზოგიერთი ტერმინის შესახებ (№№ 1-2)

ბ) სახალხო დებუტატთა საბჭო (საბჭოები) თუ სახალხო დებუტატების საბჭო (საბჭოები)? (№№ 1-2)

ლ. ლ ე ჟ ა ვ ა მ: ა) საღაურობის სახელთა წარმოება - ეთ და -ის სუფიქსების შემცველ გეოგრაფიულ სახელთაგან (№№ 1-2)

ბ) არაერთგვარ მსაზღვრელთა რიგი შესიტყვებაში (დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებებში) (№№ 1-2)

გ) კავშირთა ხმარების საკითხები (1. არა მარტო — არამედ... -ც, არა მხოლოდ — არამედ... -ც) (№ 3)

თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ მ ა: ა) მიერცობი -ა-ს ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (№№ 1-2).

ბ) მიცემითისა და სახელობითის გაქვეყნულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას (№№ 1-2)

გ) ნა — ევ და ნა- აფიქსებით სიტყვათა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (№ 3)

წ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე მ: ა) თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ხმარებისათვის (№№ 1-2)

ბ) სიტყვის გადატანის წესები (№ 3)

გ) რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელ-  
თა მართლწერა (№ 3)

ვ. კალანდაძემ: ა) ავადმყოფობს და შეურაცხყოფს ტი-  
პის ზმნათა ზოგი ფორმის მართლწერისათვის (№№ 1-2)

ბ) იგებს — გებულობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქარ-  
თულში (№ 3)

გ) თანდებულთა ხმარების საკითხები (-ზე და -ში თან-  
დებულთა მონაცელების შესახებ) (№ 3)

ც. კალაძემ: საზღვრულის რიცხვი გაურკვეველი სიმრავ-  
ლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან (№ 3)

თ. ღვინაძემ: კაუზატივის ფორმათა მართლწერა  
(№№ 1-2)

ლ. კაიშაურმა: გერმანული ch და მისი გადმოცემა ქარ-  
თულში (№№ 1-2)

## სიტყვის გადატანის წესები

სიტყვის გადატანის წესები ემყარება დამარცვლისა (ფონეტიკური დანაწევრება) და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის (მორფოლოგიური დანაწევრება) პრინციპებს.

1. ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნიაანი სიტყვა არ ითიშება თანხმოვანთა სიმრავლის მიუხედავად. ერთნაირად გაუთიშავია, მაგალითად, ის და გვბრდღენის.

2. ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის გათიშულ ნაწილებში თითო ხმოვანი მაინც უნდა იყოს. არ შეიძლება, მაგალითად, სიტყვის ასე დამარცვლა და გადატანა: თრთვე-ილი, თრთ-ვილი, თრ-თვილი... ფცქ-ნიდა, ფცქ-ვნიდა, ფც-ქვნიდა... ანსამბ-ლს, ანსამბ-ლს... სწორია: თრთვი-ლი, ფცქვნი-და, ან-სამბლს.

3. ცალი თავკიდური ან ბოლოკიდური ხმოვანი (ისევე როგორც თანხმოვანი) სიტყვას არ ეთიშება. არ შეიძლება ასე გადატანა: ა-უღია ან აუღი-ა, ა-ტელიე ან ატელი-ე. სწორია: აუ-ღია, ატე-ლიე...

4. თუ ხმოვნებს შორის ერთი თანხმოვანია, არ შეიძლება სიტყვის გათიშვა ამ თანხმოვანზე, მაგალითად, ასე: მატ-არ-ებელი, ან-აბ-არა... ამ შემთხვევაში სიტყვა უნდა გაითიშოს ღია მარცვალზე (ე. ი. ხმოვანზე): მა-ტა-რე-ბე-ლი, ანა-ბა-რა.

5. სტრიქონთა მიჯნაზე მოხვედრისას ითიშება ხმოვნებს შორის მოქცეული ნებისმიერი ორი თანხმოვანი: ორ-მო, უც-ხო, ოთ-ხი, აფ-ხაზი, საჩ-ხერე, საქ-მე, საწ-ყალი, სატ-ყეო... გათიშვა, ცხადია, შეიძლება ღია მარცვალზედაც: სა-ტყეო, სა-ქმე...

6. თუ სტრიქონთა მიჯნაზე თავს იყრის ორზე მეტი თანხმოვანი, ზღვარი შეიძლება დაიდოს ნებისმიერ ორ თანხმოვანს შორის. მაგ.: დააფ-რქვევს, დააფრ-ქვევს, დააფრქ-ვევს (მაგრამ არა: დააფრქვე-ვს). ამავე პირობებში:

ა. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია, თუ ფუძისეულ თანხმოვნებს გაემიჯნება დამხმარე ელემენტის (აფიქსის, თანდებულის, ზმნისწინის...) თანხმოვნები, მაგალითად, ასე: სახლ-მა, სახლ-ში, სახლის-თვის; მესხ-ნი, მესხ-თა; ვან-ვლო (მაგრამ: ვა-ნა-ვითარა), აღ-შფოთდა (მაგრამ: აღა-შენა), წარ-გზავნა (მაგრამ: წა-რავლინა)...

ბ. ამ ვხითვე გაითიშება სტრიქონთა გასაყარზე ერთმანეთის გვერდით მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვანიც (ფუძისეულ და აფიქსისეული, ან ორი სხვადასხვა ფუძისა): კოვზ-ზე, ღმერთ-

თან, მათ-თვის, მოგ-ვგრის, შებინდ-დება, გამ-მიჯნელი... ერთ-  
თვიანი, კონტრ-რევოლუცია და მისთ. (და არა: კოვ-ზზე, ღმერ-  
თთან, მოგვ-ვგრის... ერთთ-ვიანი, კონტ-რრევოლუცია...).

გ. ასევე, თუ სტრიქონთა მიჯნაზე რთული სიტყვის ორზე  
მეტი თანხმოდანი იყრის თავს, უმჯობესია ბუნებრივი ზღვარი დაი-  
დოს შემადგენელ ფუძეთა შორის იმისდა მიუხედავად, დეფინი-  
თაა ისინი შეერთებული თუ უდეფისოდ, სრული სახითაა წარმო-  
დგენილი თუ შემოკლებით (აბრევიატურით). მაგალითად: ცოლ-/  
ქმარი, ტუჩ-/კბილი, ქართლ-/კახეთი... ათწლიანი, თვით/მკვლელო-  
ბა, ურთიერთ/დამოკიდებულება, სპორტ/კლუბი, პარტ/კომი, ავიტ/  
პროპაგანდა... (და არა: ათწ-ლიანი, თვითმ-კვლელობა, სპორ-  
ტკლუბი, ან სპორტკ-ლუბი, ურთიერ-თდამოკიდებულება...).

## რთული ზედაენილოგის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა

გეოგრაფიული სახელები, საზოგადო სახელთა მსგავსად, სხვადასხვაგვარი აგებულებისაა: მარტივი (გორი), ნაწარმოები (შანდისი) და რთული ანუ შედგენილი (ხანისწყალი, თეთრი წყლები). აქედან მართლწერის თვალსაზრისით სირთულეს მხოლოდ რთული შედგენილობის ტოპონიმთა დაწერილობა წარმოშობს. დგება საკითხი: როგორ დაიწეროს რთული სახელის კომპონენტები: ერთად, ცალ-ცალკე თუ დეფისით?

საკითხი რომ მოსაგვარებელია, ამას მოწმობს, ერთი მხრით, სიჭრელე ერთი და იმავე ერთეულის დაწერილობაში სხვადასხვა ავტორის ნაწერებში, მეორე მხრით, მსგავსი აგებულების გეოგრაფიულ სახელთა გაფორმებაში ერთისა და იმავე ავტორის ნაწერებში. ჭრელ სურათს გვიჩვენებს ზოგი ოფიციალური წყაროც (რუკები, სახელმძღვანელოები და მისთ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კომპოზიტის მართლწერა როდი ითხოვს მოგვარებას. მაგ., თუ რთული სახელწოდებით აღნიშნულია ერთზე მეტი გეოგრაფიული ობიექტი, შემადგენელ ნაწილთა შორის დეფისი იწერება (მაგ., ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი და სხვ.); ანდა, თუ გეოგრაფიული სახელის წინამდებელი კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია, — აკლია ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი (გორმაღალი, ვაკი(ს)ჯვარი, ხუც(ის)უბანი); ასეთ შემთხვევაში ტოპონიმები ტრადიციულად დაუშლელად იწერება. ერთად იწერება აგრეთვე ნათესაობითის სრული ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტობრივ გაქცავებული მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შემცველი გეოგრაფიული სახელებიც. როგორცაა: ცხენისწყალი, ვარდისუბანი და მისთ., ასევე, საზღვრულთან შესრდილი მსაზღვრელები შუა, ქვემო და სხვ., რომლებსაც საპირისპირო მეწყვილე არ მოეპოვება (მაგ., შუაფხო, ქვემოხევი, უკანაფშავი...).

ამავე სახის მსაზღვრელები, რომელთაც მაორიენტირებელი ფუნქცია ეკისრებათ და, რომლებიც, ჩვეულებრივ, იმავე რეგიონის ფარგლებში ანტონიმურ წყვილებს ქმნიან, ცალ-ცალკე წერას ტენდენციას ავლენენ. ესენია: ზედა — ქვედა, დიდი — პატარა, გაღმა — გამოღმა, წინა — უკანა და სხვ. (მაგ., ზედა საზანო — ქვედა საზანო, დიდი ატენი — პატარა ატენი და მისთ.). დაპირის-

პირება მაშინაც იქმნება, როცა ამგვარ მეწყვილეთაგან ერთ-ერთს მსახლერელი აკლია (შდრ.: ქვედა სამება და სამება).

რთული შედგენილობის გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის პრინციპების შემუშავებისას გასათვალისწინებელია, უწინარეს ყოვლისა, ფორმალური ან შინაარსობრივი (სემანტიკური) დაშლადობა. თუ რთული სახელი ამ ნიშნების მიხედვით დაშლადია, მისი შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს (მაგ.: „თეთრი წყარო ქალაქია“, მაგრამ: „თეთრ წყაროში მივდივარ“. შდრ.: წითელწყარო, წითელწყარომ... წითელწყაროში).

რთულ ტოპონიმთა კომპონენტების შერწყმულად წერას განსაკუთრებით ხელს უწყობს აზრობრივი შეუსაბამობა ტოპონიმში შემავალ საზოგადო სახელსა და ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს შორის (მაგ., შუამთა, ბროლისქედი სოფლების სახელებია და არა მთისა, ქედისა და ა. შ.). თუკი საზოგადო სახელი შეესაბამება ობიექტს, მაშინ შემადგენელი ნაწილები, ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე იწერება (მაგ., ლიხის ქედი, ჯვრის უღელტეხილი სათანადო ორგრაფიული ობიექტების სახელებია).

საკუთარ სახელებთან შედარებით შერწყმისადმი მეტი მიდრეკილებით ხასიათდება საზოგადო სახელები, რამდენადაც გეოგრაფიულ სახელებში ისინი მოკლებულნი არიან დამოუკიდებლობას (მაგ.: მილისწყარო, მიმინოსხვევი, ვაზისუბანი...). განსაკუთრებით ეს ითქმის წყალ-კომპონენტზე, რომელიც თვით გეოგრაფიულ სახელს მოსდევს უმრავლეს შემთხვევაში და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სპეციალური მაწარმოებელი ჰიდრონიმებისა -ურა/-ულა სუფიქსი (მაგ., ჩიხა — ჩიხურა, ჩარგალი — ჩარგლულა...). ამრიგად, კომპონენტი წყალი განუყოფელია სათანადო ტოპონომისაგან (მაგ., ბახვისწყალი...).

შერწყმისადმი დიდი მიდრეკილებით გამოირჩევა აგრეთვე რისამე ნაწილის აღნიშვნელი ისეთი სახელები, როგორცაა: თავი, პირი, გვერდი, ძირი, ბოლო და მისთ. (მაგ.: რუხთავი, რუხიპირი, რუხიბოლო, ცინისძირი, წყლისპირი და სხვ.).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რთული შედგენილობის გეოგრაფიულ სახელთა ფონეტიკურ-რიტმულ თავისებურებასაც: ერთმარცვლიანი კომპონენტი, იმისდა მიუხედავად, წინამავალია თუ მომდევნო, ეკედლება მეორე (ან პირველ) კომპონენტს, რაც წერაშიც შესაბამისად აისახება: მთაწმინდა, ვაკეტყე, ვაკემთა, ქალატყე და მისთ.

რაც შეეხება რთულ ტოპონიმებში შემავალ საკუთარ სახელებს — პირთა სახელებს, გვარებს, ეთნონიმებს, თავად ტოპონიმებს, ისინი მეტი დამოუკიდებლობით გამოირჩევიან, რის გამოც შემადგენელი კომპონენტები ცალ-ცალკე იწერება (მაგ., სოფლები ლაშის იგორეთი, კიცხის იგორეთი. შდრ.: სოფ. ლაშე, სოფ. კიცხი).

კომისია ადგენს:

ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ტრადიციებისა და ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით გატარდეს შემდეგი წესი:

1. ერთმანეთთან თანაბრად დაკავშირებულ კომპონენტებს შორის დეფისი დაიწეროს (სვიანა-როსტიანა, საალანიო-საფაჩულიო).

2. ცალ-ცალკე დაიწეროს:

ა. თანხმოდანფუძიანი ატრიბუტული მსახდვრელისა და საზღვრულის შემცველი ფორმობრივად დაშლადი ტოპონიმები: თეთრი წყარო, მრგვალი ქალა... (შდრ. ფორმობრივად დაუშლელი სვეტიცხოველი: „სვეტიცხოველში ვიყავი“);

ბ) მსახდვრელებით დაპირისპირებული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტი საკუთარი სახელია (დიდი ატენი — პატარა ატენი, ლაშის იგორეთი — კიცხის იგორეთი);

გ) აღსანიშნი ობიექტების შესაბამისი საზოგადო სახელების შემცველი ტოპონიმები (ლიხის ქედი, ბაზალეთის ტბა).

3. დაუშლელად, შერწყმულად დაიწეროს:

ა. ტოპონიმები, რომელთა პირველი კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია (ფუძის სახითაა წარმოდგენილი ან ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი (წითელწყარო, ვაკი-ჯვარი, ხუცუბანი);

ბ. ერთმარცვლიანი მსახდვრელის ან საზღვრულის შემცველი ტოპონიმები (ხემაღალი, რუსთავი, ვაკეტყე, შუაფხო);

გ. ტოპონიმები, რომელთა ორივე ან საზღვრული კომპონენტი საზოგადო სახელია და იგი არ შეესაბამება აღსანიშნ ობიექტს (მაგ., სოფლების სახელწოდებები: ციხისძირი, ვანისქედი, შუახვევი, ვარდისუბანი)

დ. წყალ- კომპონენტის შემცველი ტოპონიმები შერწყმულად იწერება (ხანისწყალი, ბახვისწყალი).

**ნა — ევ და ნა- აზიკანებით სიტყვათა წარმოებასთან  
დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი**

ქართულში ე. წ. წინა ვითარების სახელების საწარმოებლად გარდა ნა — არ აფიქსებისა, გარკვეულ ფუძეებთან გამოყენებულია ნა — ევ საწარმოებლებიც: ნამდინარევი, ნაყანევი, ნაკვალევი, ნაქმრევი („ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს“, — მ. ჯავახ.), ნაყმევი, ნაჭრილობევი („შუბლის არეში პატარა ნაჭრილობევი აჩნია“, — „ეკომ“.), ნავენახევი, ნამონასტრევი, ნაშემოდგომევი...

ნა — ევ პრეფიქსულ-სეფიქსური წარმოების წინა ვითარების სახელები ხშირად გაქვავებული სახით არის წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაში. ასეთ შემთხვევაში ისინი ზმნისართებადაა ქცეული და თითქმის ყოველთვის დროს აღნიშნავენ: ნავახშმევს, ნაშუადღევს, ნახალწლევს, ნართვლევს („თქვენ შეგიძლიათ ნართვლევს მოაწყოთ ექსკურსია საქარაში“, — „ლიტ. და ხელ“.), ნაშობევს, ნადღეობევს, ნაკრებევს („ნაკრებევს ხალხი ერთმანეთს ხელს ართმევდა“, — ლ. ქიჩი.)...

თუმცა აღნიშნული სახის წინა ვითარების სახელთა დიდი უმრავლესობა ამ წესით არის ნაწარმოები, ზოგჯერ ხდება სუფიქსთა მონაცვლეობა და -ევ სუფიქსის ნაცვლად -ებ ბოლოსართი იჩენს თავს. მაგალითად: ნაბატონები, ნაყმები („დამოუკიდებელი გემამულე არ შეიქმნება, სანამ ნაბატონებსა და ნაყმებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა“, — ი. ანთ.), ნაყანები, ნაყვავილები, ნაცოლები („არქივთა ქვაშავაძის ნაცოლები... უშვილო... იყო?“ — დ. კლდ.), ნაჭრილობები („ახლაც აჩნდა ვამებს გრძელი იისფერი ნაჭრილობები კისერზე“, — გ. გეგ.), ნაშემოდგომები („ახალი ნაშემოდგომები იყო“, — ნ. ულ.), ნაჩაიებს, ნაწირვებს...

მეორე მხრივ, ნა- პრეფიქსი ქართულში გამოყენებულია ზმნათა ფუძეებისაგან მიმღეობის საწარმოებლად. ოდენ ნა- პრეფიქსით იწარმოება ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობა.

როგორც ცნობილია, მიმღეობის წარმოებისას, ჩვეულებრივ, ამოსავლად აწმყოს ფუძეა გამოყენებული, ამასთან, მოქმედებითი გვარის ზმნისა. ეს აწმყოს ფუძე კი უმეტეს შემთხვევაში შეიცავს ე. წ. აწმყოს ფუძის საწარმოებელ სუფიქსებს, ამიტომ ეს სუფიქსები მიმღეობებშიც გადადის და მისი ფუძის კუთვნილება ხდება.

აღნიშნულ ოდენ ნა- პრეფიქსით ნაწარმოებ ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობებში სხვათა გვერდით აწმყოს ფუძის სა-



წარმოებელი -ევ სუფიქსიც ჩანს და, ამდენად, ეს ფორმები გარეგნულად თითქოს ემთხვევა წინა ვითარების სახელთა ფორმებს. მაგრამ ეს დამთხვევა მხოლოდ მოჩვენებითია: ნა — ევ-აფიქსებიანი წინა ვითარების სახელები და -ევ-სუფიქსიან ზმნათაგან ნა-პრეფიქსით ნაწარმოები ნამყოს მიმღეობა არასოდეს არ ქმნის პარალელურ ფორმებს, რომელთა აღრევაც შესაძლებელი იქნებოდა მართლწერის თვალსაზრისით.

ამასთანავე, მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი დიდი ჯგუფი, როგორც ცნობილია, აწმყოს ფუძეს -ებ სუფიქსით აწარმოებს და ამ ზმნათაგან იწარმოება ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობები. აი, სწორედ ამგვარ მიმღეობათა აღრევა ხდება ნა — ევ აფიქსებით ნაწარმოებ წინა ვითარების სახელებთან. ამ შემთხვევაში ჩნდება პარალელური ფორმები, რომელთა წარმოშობის საფუძველი ისაა, რომ ამ მიმღეობებში ბოლოკიდური -ებ იცვლება -ევ სუფიქსით. ასე, მაგალითად, ერთი მხრით, გვაქვს მიმღეობები: ნაკარნახები, ნავარჯიშები, ნალაღატები და მისთ., მათ გვერდით კი დასტურდება -ევ-იანი ფორმებიც: ნაკარნახევი, ნავარჯიშევი, ნალაღატევი...

მაგრამ -ებ და -ევ სუფიქსთა მონაცვლეობა -ებ-სუფიქსიანი ზმნათაგან ნაწარმოებ ყველა მიმღეობაში როდი ხდება; სახელდობრ, თუ მიმღეობა ნაწარმოებია ისეთი -ებ-სუფიქსიანი ზმნის ფუძისაგან, რომელსაც დრო-კილოთა სამსავე წყებაში ნაკვთთა ჩვეულებრივი ფორმები ახასიათებს, კერძოდ, აწმყო და მყოფადი ერთსა და იმავე ფუძეს ეყრდნობა, ასეთ მიმღეობას პარალელური -ევ-სუფიქსიანი ფორმა არ უჩნდება. ამგვარ მიმღეობებში ფუძის -ებ დაბოლოების -ევ დაბოლოებით შენაცვლების საკითხი, ჩვეულებრივ, არ დგას. ასეთებია: აბარებს — ნაბარები, აგებს — ნაგები, აკეთებს — ნაკეთები, ატარებს — ნატარები, აქებს — ნაქები, აშენებს — ნაშენები, აჩვენებს — ნაჩვენები, ახსენებს — ნახსენები, კრებს — ნაკრები... გამოინაკლისია რამდენიმე ნასახელარი ზმნა, როგორცაა: აპატიებს — ნაპატიები||ნაპატიევი, ასამართლებს — ნასამართლები||ნასამართლევი, აქანდაკებს — ნაქანდაკები||ნაქანდაკევი, აყალბებს — ნაყალბები||ნაყალბევი...

თითქმის ყოველთვის -ებ-თემისნიშნაინია პრევერბიანი მიმღეობებიც: ანაგები, ანატირები, განამწარები, განაოცები, დანამზადები, დანაწუნები, მონაგები, მონატაცები, შენაჩვენები, ჩანაგები, ჩანადები, წანაგები...

-ებ || -ევ-სუფიქსებიანი ფორმები მოეპოვება.

1. ძირითადად, **ივარჯიშებს**, **უკარნახებს** ტიპის ზმნების, მათ შორის უპირატესად — ნასახელარ ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებს;

2. ამავე ზმნების ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებსა და

3. ზოგი ორ- ან სამპირიანი ზმნის ფუძეთაგან ნაწარმოებ მიმღეობებს. დღევანდელ ქართულში მყოფადის გაგებას შეიცავენ როგორც **ივარჯიშებს**, ასევე — ხშირ შემთხვევაში — **უკარნახებს** ტიპის ზმნები. ერთი სასუბიექტო (სათავისო) ქცევის ფორმა, ხოლო მეორე — საობიექტოსი (სასხვისო). ეს ის ზმნებია, რომლებიც დანაკლის ფორმებს უკლებენ: პირველნი — ერთპირიან **ვარჯიშობს** ტიპის სტატიტიკურ ზმნებს, მეორენი — ორპირიან **კარნახობს** ტიპის სტატიკურსავე ზმნებს, რომელთაც საკუთარი წარმოების მხოლოდ აწმყოს, ნამყო უსრულისა და კავშირებითი I-ის ფორმები აქვთ: ამასთან, **ივარჯიშებს**, **უკარნახებს** ტიპის ზმნები დრო-კილოთა აწმყოს წრეში, ჩვეულებრივ, არც იხმარებიან, ხოლო ფორმათა შეცვლებისას ერთი პირით ნაკლების გაგებას იძლევიან — ბრუნვაცვალებადი ობიექტი ეკარგებათ.

ნეიტრალური ქცევის ფორმებში სასუბიექტო ქცევის ი- პრეფიქსის ადგილს ა- იჭერს (**ივარჯიშებს** — **ავარჯიშებს**). ამ ფორმებს აწმყო-მყოფადის შინაარსი აქვთ და სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმებთან აღარა აქვთ კავშირი.

ყველა ეს ზმნა-ებ-სუფიქსიანია და ნამყო დროის ენებითი გვარის მიმღეობა მათგან იწარმოება: **ივარჯიშებს** — **ნა-ვარჯიშებ-ი**, **უკარნახებს** — **ნა-კარნახებ-ი**, **აშიმშილებს** — **ნა-შიმშილებ-ი**...

სწორედ აქ, ამ შემთხვევაში ხდება პარალელურ ფორმათა გაჩენა წინა ვითარების სახელთა მიმსგავსებით -ებ დაბოლოების -ევ დაბოლოებით შეცვლის შედეგად: ჩვეულებრივი და მოსალოდნელი **ნავარჯიშებ-ის** გვერდით გვაქვს -ევ-დაბოლოებიანი ფორმა **ნავარჯიშევი**, **ნაკარნახებ-ის** გვერდით — **ნაკარნახევი**, ხოლო **ნაშიმშილებ-ის** პარალელურად — **ნაშიმშილევი**. ამასთანავე, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ უკანასკნელ ფორმათაგან ზოგი უფრო გავრცელებულიცაა.

ამ რიგის მიმღეობებია:

**ნანგარიშები** || **ნანგარიშევი** (< **იანგარიშებს**);

**ნავიანები** || **ნავიანევი** (< **იავიანებს**);

**ნავალდებულები** || **ნავალდებულევი** (< **იავალდებულებს**);

**ნავარგები** || **ნავარგევი** (< **ივარგებს**);

ნათათბირები || ნათათბირევი (< ითათბირებს);  
 ნათამაშები || ნათამაშევი (< ი/ათამაშებს);  
 ნალაპარაკები || ნალაპარაკევი (< ი/ალაპარაკებს);  
 ნანადირები || ნანადირევი (< ინადირებს: „მოსთრავდა თავის  
 ბინისკვე ნადავლი, ნანადირები“, — ვაჟა; შდრ.: „ონისეს... ურიცხვი  
 ნანადირევი ჩამოჰქონდა“, — ა. ყაზბ.);  
 ნაქორწილები || ნაქორწილევი (< ი/აქორწილებს);  
 ნაჩქარები || ნაჩქარევი (< ი/აჩქარებს);  
 ნაწვალები || ნაწვალევი (< ი/აწვალებს);  
 ნასაუზმები || ნასაუზმევი (< ი/ასაუზმებს: „სასახლის დიდ  
 ეზოში ახალი ნასაუზმები მთავარი და საპატიონი... ყაბახს ესროლ-  
 ნენ“, — ბანოვ.; შდრ.: „სახლიდან წინა დლით ნაყიდი პურით „ნა-  
 საუზმევი ან უსაუზმო უნდა წახვიდეთ სამსახურში“, —  
 „გამარჯვ.“);

ნაჯახირები || ნაჯახირევი (< ი/აჯახირებს);  
 ნაწინასწარმეტყველები || ნაწინასწარმეტყველევი (< ი/უწი-  
 ნასწარმეტყველებს: „დედისაგან მიქვს, ბატონო, ნაწინასწარმეტ-  
 ყველები“, — ნ. ლორთქ.; შდრ.: „დაზაება... გარდაუვალს გახდის  
 საქმიანი აქტივობის ნაწინასწარმეტყველევი დაცემას?“ — „კომ.“);

ნააღერსები || ნააღერსევი (< უაღერსებს);  
 ნაანდერძები || ნაანდერძევი (< უანდერძებს);  
 ნაპატრონები || ნაპატრონევი (< უპატრონებს);  
 ნაწილადები || ნაწილადევი (< უწილადებს);  
 ნაწყალობები || ნაწყალობევი (< უწყალობებს)...

პარალელური -ევ-სუფიქსიანი ფორმები აქვს აგრეთვე მიმ-  
 ლეობებს: ნავალობები, ნაგემები, ნაგულისხმები, ნაეშმაკები  
 („თვალთ ნამუშავევი არს ნაეშმაკევი გონება დეთისა“, —  
 დ. გურამ.), ნავალები, ნავარაუდები, ნავახშმები („—ნუ სწუხდები,  
 ნავახშმევი ვარ“, — ლ. ქიჩი.), ნაზარალები, ნათაკილები, ნათვალ-  
 თვალები, ნაკამათები, ნალოგინები („ცოლი გოდრის ასაწევათაც  
 არ მოიხმარა: მოერიდა ახალ ნალოგინეს“ — ნ. ლორთქ.), ნამარ-  
 ხულები („ნამარხულევი ხალხი დააძლებოდა ლორის ხორცს“, —  
 დ. შენგ.), ნამკურნალები, ნასადილები („—ნადირ, თქვენ ნასადი-  
 ლევი ხართ?“ — შ. არაგვ.), ნასარგებლები, ნაფუსფუსები, ნაჩურ-  
 ჩულები, ნაცოდვილები, ნაძალადები, ნაპურმარილები („მათ შო-  
 რის უხვად ჰყავთ ახლო მეგობრები და ძველისძველი ნაპურმარი-  
 ლევი ნაცნობები“, — ბ. ჩხ.), ნავადმყოფები, ნასპარეზები, ნაბა-  
 ასები, ნათაღლითები, ნაკაპახები, ნაკეკლუტები, ნალაზღანდარები,

ნალაქლაქები, ნამსახურები, ნაქეიფები, ნალიღინები, ნაცულლუ-  
ტები, ნასამართლები და სხვ.

ახალ ქართულში, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში, გავრცელ-  
და მიმღეობის ტიპის ფორმები, რომლებიც ზემოთ აღწერილ მიმ-  
ღეობებს ჰგვანან როგორც სემანტიკურად და ფუნქციის მხრივ,  
ასევე წარმოების მხრივაც: სახელდობრ, პრეფიქსად გამოყენებუ-  
ლი აქვთ მიმღეობის ნა- თავსართი, ხოლო სუფიქსებად, — სხვა-  
თა გვერდით, ისევე -ებ || -ევ ბოლოსართები, ოღონდ განსხვავება  
ისაა, რომ მიმღეობა ზმნისაგან იწარმოება, მისთვის ამოსავალია  
ზმნის ფუძე, აღნიშნული ტიპის სახელები კი წარმოებისას შესა-  
ბამის სახელთა ფუძეება იყენებენ, ამ სახელებისაგან იწარმოე-  
ბიან. ასეთებია:

ოპერაცია ფუძისაგან — ნაოპერაციები || ნაოპერაციევი (ვი-  
საც ან რასაც ოპერაცია გაუკეთეს): „ნაოპერაციებ ბავშვს ოფლი-  
საგან უნდა შეგუქმშრალოთ სხული“ (მ. კოკოჩ.); „ნაოპერაციევი  
ავადმყოფები ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ 6 თვიდან  
2 წლამდე“ („საბჭ. მედ.“).

ღვინო ფუძისაგან — ნაღვინები || ნაღვინევი (ღვინოდალეუ-  
ლი, ვინც ღვინო დალია): „იგი გზირთან ერთად ნაღვინები. ვინ  
იცის საით მიდიოდა“ (შ. არაგვ.); „დედოფალთან შესვლა ვერ  
გავბედე, ნაღვინევი ვიყავი“ (ნ. ლორთქ.).

ჭრილობა ფუძისაგან — ნაჭრილობები || ნაჭრილობევი (ის,  
ვისაც ან რასაც ჭრილობა აქვს, ჭრილობიანი): „კვლავ გხედავთ  
ისეთს, როგორც იყავით შინ: ნაჭრილობები, თავმოტვლებილი,  
ხელებდამწვარი“ („ლიტ. გაზ.“); „მამა 1944 წელს დაბრუნდა  
ნაჭრილობევი“ („გამარჯვ.“).

ასეთივეა: ნაიარები || ნაიარევი (ფუძისაგან იარა; ვისაც ან  
რასაც იარა ჰქონდა ან აჩნია), ნაპურღვინები || ნაპურღვინევი  
(< პურ-ღვინო; ვინც პურ-ღვინო მიირთვა), ნაჩუმათები || ნაჩუმა-  
თევი (ჩუმად, მალულად ნაკეთები); ნანგარები || ნანგარევი  
(< ანგარება; ანგარებით შეძენილი); ნამემკვიდრები || ნამემკვიდ-  
რევი (< მემკვიდრე; მემკვიდრეობით მიღებული) და სხვა.

მაშასადამე, ერთი მხრივ, წინა ვითარების სახელებში -ევ სუ-  
ფიქსის ნაცვლად -ებ ბოლოსართი იჩენს თავს და ასე იქმნება პა-  
რალელური ფორმები, ხოლო მეორე მხრივ — პირუკუ: მიმღეო-  
ბის ფორმებში -ებ-ის ნაცვლად -ევ სუფიქსი ჩნდება და ესაა პა-  
რალელურ ფორმათა წარმოშობის წყარო.

წინა ვითარების სახელებში -ევ || -ებ სუფიქსთა გამოყენების საკითხი მარტივად წყდება: ცნობილია, რომ ამ რიგის სახელებს აწარმოებს ნა—ევ აფიქსები და ამიტომ -ებ-ბოლოსართიანი ფორმების შესახებ შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ აქ არასწორ წარმოებასთან გვაქვს საქმე და მათი ხმარება ამ შემთხვევაში გაუმართლებელია, მით უმეტეს, რომ ასეთი დარღვევები ენაში საერთოდ იშვიათია.

შენიშვნა: აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლიტერატურაში დამოწმებული ნა—ევ-აფიქსებიანი ყველა წინა ვითარების სახელი არ არის ლიტერატურულად უპირატესი ფორმა. ზოგი სახელური ფუძისაგან უფრო ბუნებრივია წინა ვითარების სახელების საწარმოებლად ნა—არ აფიქსების გამოყენება. ლიტერატურული ენის თვალსაზრისით მართებული, ბუნებრივი და გაბატონებულია ნაწარმოები სახელები: ნასახლარი, ნასოფლარი, ნატუსადარი, ნაყაჩადარი, ნაყვავილარი, ნაცოლარი და მისთ., ზოლო უკუსაგდება: ნასახლევი, ნასოფლევი, ნატუსადევი, ნაყაჩაღევი, ნაყვავილევი, ნაცოლევი და სხვ., რომლებიც პირველთ სალიტერატურო ენაში მეტოქეობას ვერ უწევენ.

მიმღეობებში, რომლებშიც პარალელური -ებ, -ევ-სუფიქსებიანი წარმოება გვაქვს, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ერთადერთ სწორ ფორმებად მხოლოდ -ებ-სუფიქსიანები შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ძირეულ ზმნებში, საიდანაც ეს მიმღეობებია ნაწარმოები, სწორედ -ებ დაბოლოებაა. რაც შეეხება -ევ სუფიქსს, იგი აქ ვერავითარ ახსნას ვერ პოულობს და, ამდენად, მისი ხმარებაც გაუმართლებელია, თუმცა -ევ-სუფიქსიანი მიმღეობები ენაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

ზემოთ აღწერილ ე. წ. მიმღეობის ტიპის სახელებში -ებ || -ევ სუფიქსები მიმღეობათა ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი, რადგანაც არც ერთ იმ სახელურ ფუძეში, საიდანაც ისინია ნაწარმოები, არც -ებ და არც -ევ დაბოლოება არა გვაქვს. და მაინც, ვინაიდან აღნიშნული სახელები მიმღეობის ტიპის ფორმებია, -ებ სუფიქსი მათთვის, ისევე როგორც მიმღეობათათვის, უფრო გამართლებული ჩანს.

-ებ-სუფიქსიანი მიმღეობის ტიპის ფორმებს ის უპირატესობაც აქვს, რომ მათი გამოყენების შემთხვევაში ამ რიგის სახელები, მსგავსად -ებ-იანი მიმღეობებისა, გარჩეულია წინა ვითარების სახელებისაგან, რომლებიც სწორედ ნა—ევ აფიქსებით არის ნაწარმოები. სახელდობრ:

სახელები და მნიშვნელობა  
3322

**ნაბანოები** — ვინც იაბანოვა, ვინც იბანავა;

**ნაბანოევი** — ადგილი, სადაც უწინ აბანო იყო, ყოფილი აბანო.

**ნავაზირები** — ნათათბირები, ნალაპარაკები, ნასაუბრები, ივა-  
ზირეს ზმნისაგან („მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები“ —  
„ვეფხისტყაოსანი“);

**ნავაზირევი** — ყოფილი ვაზირი, ვაზირად ყოფილი.

**ნაიარები** — ვისაც ან რასაც იარა ჰქონდა ან აქვს, დაქრილი;

**ნაიარევი** — ადგილი, სადაც იარა ჰქონდათ.

**ნაოპერაციები** — ვისაც ან რასაც ოპერაცია გაუკეთდა;

**ნაოპერაციევი** — ადგილი, სადაც ოპერაცია გაუკეთდათ.

**ნასადილები, ნასაუშმები, ნავახშმები** — ვინც ისადილა (სა-  
დილნაჭამი), ვინც ისაუშმა (საუზმენაჭამი), ვინც ივახშმა (ვახშამ-  
ნაჭამი);

**ნასადილევი (ზმნს. ნასადილევს), ნასაუშმევი (ზმნს. ნასაუშ-  
მევს), ნავახშმევი (ზმნს. ნავახშმევს)** — დრო სადილის, საუზმისა  
და ვახშმის შემდეგ.

**ნასახლები** — ვინც დასახლეს ან დასახლდა, დასახლებული;

**ნასახლევი** — ადგილი, სადაც უწინ სახლი იყო, ან ყოფილი  
სახლი.

**ნაქმარები || ნაქმრები** — ვისაც ქმარი ჰყავდა; ქალი (შდრ.:  
ორნაქმარები, სამნაქმარები...);

**ნაქმარევი || ნაქმრევი** — ყოფილი ქმარი, ქმრად ყოფილი; მა-  
მაკაცი („ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს“, — მ. ჯავახ.).

**ნაცოლები** — ვისაც ცოლი ჰყავდა; მამაკაცი;

**ნაცოლევი** — ყოფილი ცოლი, ცოლად ყოფილი, ნაცოლარი;  
ქალი.

**ნაყაჩადები** — ყაჩაღობით შეძენილი, ყაჩაღობით მოპოვე-  
ბული;

**ნაყაჩადევი** — ყოფილი ყაჩაღი, ყაჩაღად ყოფილი, ნაყა-  
ჩალარი.

**ნაპატრონები** — რასაც ან ვისაც უპატრონეს, მოვლილი, შე-  
ნახული;

**ნაპატრონევი** — ყოფილი პატრონი, პატრონად ყოფილი და  
სხვა.

**ნა-პრეფიქსიანი მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების**  
ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ მიმღეობებში უმართებუ-  
ლოდ გამოყენებული -ევ სუფიქსი წინა ვითარების სახელთა სა-

წარმოებელი ბოლოსართია, ხოლო წინა ვითარების სახელებში ნახმარი -ებ სუფიქსი მიმღეობის ფორმებისაგან მომდინარეობს.

სულ სხვადასხვა წარმოების ფორმებში წარმოშობითა და დანიშნულებით სრულიად განსხვავებული სუფიქსების ამგვარი აღრევის ძირითადი მიზეზია ვნებითი გვარის ნამყო დროის ნა-პრეფიქსიანი მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე; ორივე წარსული დროისაა, ორივე რაღაც სახის „ყოფილობას“ (ნამყოფობას) გამოხატავს (ასეთივე სიახლოვეა შენიშნული მყოფადის მიმღეობასა და დანიშნულების სახელებს შორის. იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 076). ამ სიახლოვეს, უპირველეს ყოვლისა, იწვევს ის ვარემოება, რომ საერთოდ ნა-პრეფიქსიან მიმღეობებს -ილ და -ულ-სუფიქსებიან მიმღეობებთან შედარებით უფრო არსებითი სახელის ნიშნები ახასიათებს, ვიდრე ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავისა (მღრ.: ნაწერი და დაწერილი, ნახნავი და მოხნული, ნახატი და დახატული, ნაგები და აგებული და სხვა). ასეთი მიმღეობები მეტწილად გასუბსტანტივებულია და წინადადებაში სუბიექტის ან ობიექტის ფუნქციით გვევლინება, სუფიქსიანი მიმღეობებისაგან განსხვავებით, რომლებიც თითქმის ყოველთვის მხოლოდ ზედსართავების, მსაზღვრელების როლს ასრულებენ.

წინა ვითარების სახელებთან სემანტიკურ სიახლოვეს ავლენენ განსაკუთრებით ის მიმღეობები, რომლებშიც -ებ, -ევ სუფიქსთა პარალელური ხმარება დასტურდება. ამ ფაქტის ახსნისას მნიშვნელოვანია ის ვარემოებაც, რომ აღნიშნული ტიპის მიმღეობები, ისევე როგორც შესაბამისი ამოსავალი ზმნები, ზმნისწინებს არ დაირთავენ და ამის გამო კიდევ უფრო მეტად არიან მოკლებულნი ისეთ ზმნურ ნიშნებს, როგორიცაა მოქმედების მიმართულების აღნიშვნა და ასპექტი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ დასახელებული ტიპის ნა-თავსართიან მიმღეობებს პარალელური -ილ, -ულ-სუფიქსებიანი მიმღეობის ფორმები არ მოეპოვება. გვაქვს: ნაგროვები და დაგროვილი, ნაშენები და აშენებული, ნაკეთები და გაკეთებული, ნაქები და ქებული, დანამზადები და დამზადებული, მაგრამ არ არსებობს: ნადირებული, თათბირებული, ლაპარაკებული და სხვ. ნანადირებ-ის, ნათათბირებ-ის, ნალაპარაკებ-ის გვერდით.

შემჩნეულია, რომ ნა-პრეფიქსი ზოგჯერ არ არის საკმარისი მიმღეობის საწარმოებლად და ფორმას ბოლოში -არ სუფიქსი

ერთვის უშუალოდ ფუძეზე (აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსის გარეშე): ნაჩუქარი, ნაუბარი (იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 594). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს -არ (დისიმილაციით -ალ) სუფიქსი იხმარება სწორედ ისეთ მიმღებებსა და მიმღობის ტიპის სახელებში, რომლებშიც -ებ და -ევ სუფიქსების პარალელური ხმარება გვაქვს, თუმცა ბევრი მათგანი ლიტერატურული არც არის (ნავადმყოფარი, ნავაზაკარი, ნაეშმაკარი, ნათაღლითარი, ნასადილარი, ნაფიქრალი, ნაქეიფარი, ნაშვილარი, ნაცოდვილარი, ნაბანოვარი, ნააშაკარი, ნაღვინარი, ნაოპერაციალი...). აღნიშნული -არ სუფიქსი კვლავ წინა ვითარების სახელების საწარმოებელი ბოლოსართი ჩანს, რომელიც დასახელებული ტიპის მიმღებებში გაჩნდა ისევ და ისევ წინა ვითარების სახელებთან მათი სემანტიკური სიახლოვის გამო.

ამავე მიზეზით აიხსნება ის ფაქტიც, რომ გარდამავალ ზმნათაგან საწარმოები მიმღებები, რომელთაც მუდამ მხოლოდ -ებ სუფიქსი აქვთ, -არ სუფიქსს ვერ იგუებენ. შეუძლებელია ფორმები: ნაგროვალი, ნაკეთარი, ნამზადარი, ნაშენარი, ნაწამარი, ნახსენარი და ა. შ.

თუ როდის მოხდა ენაში მიმღებებისა და წინა ვითარების სახელების ამგვარი აღრევა, ამის თქმა ძნელია; ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსანში“ ეს პროცესი უკვე თვალნათლივ ჩანს.

ამგვარად, ვნებითი გვარის ნამყო დროის ნაპრეფიქსიანი მიმღებები და წინა ვითარების სახელები სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან, რის გამოც გარკვეულ შემთხვევებში ხდება მათი საწარმოებელი -ებ და -ევ სუფიქსების აღრევა.

\* \* \*

კომისია აღგენს:

გაიმკნოს ერთმანეთისაგან ნა — ევ აფიქსებით საწარმოები წინა ვითარების სახელები და ვნებითი გვარის ნამყო დროის ნაპრეფიქსიანი მიმღებები, სახელდობრ, მიმღებებსა და მიმღობის ტიპის ფორმებში უნდა იხმარებოდეს -ებ სუფიქსი, ხოლო წინა ვითარების სახელებში -ევ ბოლოსართი.

ამის მიხედვით გვექნება:

ერთი მხრივ: მიმღებები და მიმღობის ტიპის სახელები: ნანგარიშები, ნავარჯიშები, ნათათბირები, ნათამაშები, ნალაპარაკები, ნაწვადები, ნამკურნალები, ნავიანები, ნაქორწილები, ნა-



ჩქარები, ნაწინასწარმეტყველები, ნაალერსები, ნაკარნახები, ნაღალატები, ნაწყალობები, ნაგალობები, ნაგულისხმები, ნავარაუდები, ნაზარალები, ნათაკილები, ნაკამათები, ნაშიმშილები, ნასამართლები, ნაჩურჩულები, ნაძალადები, ნავადმყოფები, ნაქეიფები, ნასადილები (ვინც ისადილა), ნასაუშმები (ვინც ისაუშმა), ნავახშმები (ვინც ივახშმა), ნასახლები (დასახლებული), ნაპატრონები (რასაც ან ვისაც უპატრონეს), ნაყაჩაღები (ყაჩაღობით შეძენილი)... ნაბანოები (ვინც იბანა), ნაოპერაციები (ვისაც ან რასაც ოპერაცია გაუკეთდა), ნაღვინები (ღვინოსმული, ღვინოდაღეული), ნაიარები (ვისაც ან რასაც იარა ჰქონდა ან აჩნია), ნამემკვიდრები (მემკვიდრეობით მიღებული), ნაქმარები (ვისაც ქმარი ჰყავდა), ნაცოლები (ვისაც ცოლი ჰყავდა) და სხვ.

მეორე მხრივ: წინა ვითარების სახელები: ნაკვადევი, ნავენახევი, ნამონახტრევი, ნაბაკევი, ნაბოხლევი, ნადარბაზევი, ნამდინარევი, ნაყანევი, ნატაძრევი, ნაყმევი, ნაბანოევი (ადგილი, სადაც უწინ აბანო იყო, ყოფილი აბანო), ნაშუალამევი, ნასადილევი (დრო სადილის შემდეგ), ნასაუშმევი (დრო საუშმის შემდეგ), ნავახშმევი (დრო ვახშმის შემდეგ), ნაპატრონევი (ყოფილი პატრონი), (ნაოპერაციევი (ადგილი, სადაც ოპერაცია გაუკეთდათ), ნაიარევი (ადგილი, სადაც იარა ჰქონდათ), ნაჭრილობევი (ადგილი, სადაც კრილობა ჰქონდათ), ნაქმრევი (ყოფილი ქმარი) და ა. შ.

შეიშენა: გამონაკლისის სახით პარალელურად დასაშვებ ფორმებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, მართებულ -ებ-სუფიქსიან მიმღებობურ ფორმათა გვერდით, უმართებულო, მაგრამ ფართოდ გავრცელებული -ევ-სუფიქსიანი ფორმები: ნაძალადევი, ნაჩქარევი, ნავარაუდევი, ნაგულისხმევი, ნაკარნახევი.

## იგებს — გეზულობს ტიპის ზმნები

თანამედროვე ქართულში იგებს, იღებს, ითხოვს, იკლებს, იმატებს, იფიცებს (იფიცავს), იჩემებს... ზმნურ ფორმათა გვერდით აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში (ნამყო უსრულსა და I კავშირებითში) ამავე მნიშვნელობით იხმარება გეზულობს, ღებულობს, თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ფიცულობს, ჩემულობს... ფორმებიც.

მაგალითად:

**იგებს // გეზულობს:**

ყოველდღიურად რაღაც ახალს ვიგებდი უფლისწულის პლანეტაზე (გ. ჩიმაკ., თარგმ.). და მხოლოდ ცისკრის იგებდა ქამი, სად, რომელ ჭერქვეშ მეძინა ღამით (ი. აბაშ.).

ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ ჩამოსული ხალხისაგან ვგებულობდი მის ამბავს (ალ. სამს.). [მამა] შინ რომ მოდის, ამას ალყაფის ხმითაც ვგებულობთ (რ. ინან.).

იგებს // გეზულობს ზმნას გონებით რისამე წვდომის, შეცნობის, გაგების, შეტყობის მნიშვნელობა აქვს. მყოფადში მას იგებს ზმნის გა-ზმნისწინიანი ფორმა გა-იგებს შეესაბამება. მაგ.: „[ქურნალისტების] პროფესიასა, რაც შეიძლება მალე გაუზიარონ სხვებს ყოველივე, რასაც გაიგებენ“ („კომ.“).

ასე რომ, აწმყოს წყებაში ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე პარალელური იგებს // გეზულობს ფორმები გვაქვს, მყოფადის წყებაში კი ერთი ფორმა — გაიგებს:

აწმყო: იგებს // გაიგებს — მყოფადი: გაიგებს...

**იღებს // ღებულობს:**

რედაქცია ძალზე ბევრ წერილს იღებს შუშის ტარის მიმღები პუნქტების ცუდ მუშაობაზე („თბილ.“). გული სისხლს ნაკლები რაოდენობით იღებს („თბილ.“). რატომ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს მის გამოსასწორებლად? („კომ.“). ვარლამი ღიდის ვაინა-ჩრობით ეჩვეოდა უცხო გვარების ჟღერადობას და ისინიც, ბოლოსდაბოლოს, თავიანთ ჩვეულებრივ სახეს იღებდნენ (რ. ჯაფ.). ამბობენ, ბიჭის პენსიასაც უკანონოდ იღებდაო („თბილ.“). წელს გაცილებით უფრო კარგად მომზადებული ახალგაზრდობა იღებდა მონაწილეობას კონკურსში („კომ.“).

მე და ბებია კი წერილებს ყოველდღე ვღებულობთ (თ. ღვინ., თარგმ.). კომბინირებულ საკვებს პირუტყვი ნორმაზე ნაკლები რაოდენობით ღებულობს („სოფლ. ცხოვრ.“). ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ ხე-ტყის უნებართვო მჭრელების წინააღმდეგ („სოფლ. ცხოვრ.“)... რაც აქ ხდება, ყველაფერი რაღაც ზღაპრულ, გოლიათურ სახეს ღებულობს (თ. ღვინ., თარგმ). — რამდენს ღებულობ [ხელფასს]? — ვღებულობ რა, ხან მეტს, ხან ნაკლებს (ო. იოს.). ...საკითხების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მოწინავე მუშები („საქ. ბუნ.“).

**იღებს // ღებულობს** ზმნას რისამე (წერილების, პრემიის, პენსიის, ხელფასის, ჯილდოს, ორიანის, საკვების...) ან რაიმეში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობით მყოფადში **მი-** და **ა-**ზმნისწინებიანი **მი-იღებს**, **ა-იღებს** ფორმები დასტურდება: საკვებს, ჯილდოს, ორიანს, პრემიას, ... მონაწილეობას **მიიღებს**; ხელფასს, სტიპენდიას, პენსიას... **აიღებს** (მყოფადის **მი-იღებს**, **აიღებს** ფორმათა გამოყენებას გარკვეული შინაარსობრივი ნიუანსი ახლავს, შდრ. ამ თვალსაზრისით: პრემიას **მიიღებს** და პრემიას **აიღებს**).

ამგვარად, ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე აწმყოს **იღებს // ღებულობს** ფორმებს მყოფადში **მიიღებს** ან **აიღებს** ფორმები შეესატყვისება:

აწმყო: **იღებს // ღებულობს** — მყოფადი: **მიიღებს**, **აიღებს**.

**იღებს** ზმნას, ზემოთ დასახელებულის გარდა, სხვა მნიშვნელობებიც აქვს. საქმე ისაა, რომ ზმნა **იღებს** ზმნისწინით განსხვავებული და, შესაბამისად, განსხვავებული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ზმნის აწმყოს საზიარო ფორმაა. სხვაობა კარგად ჩანს მყოფადში. მაგალითად: **ა-იღებს** (ჯოხს, ჭირნახულს, მოსავალს, ზომას, ციხეს), **ამო-იღებს** (ჭიდან წყალს, ნავთობს, ქვანახშირს), **გა-იღებს** (მსხვერპლს), **გადა-იღებს** (ფილმს, სურათს), **გადმო-იღებს** (თაროდან წიგნს), **გამო-იღებს** (კარადიდან წიგნს, ნაყოფს, შედეგს), **ჩამოიღებს** (თოკიდან სარეცხს).

აქ დასახელებულ **აიღებს**, **ამოიღებს**, **გაიღებს**, **გადაიღებს**, **გადმოიღებს**, **გამოიღებს**, **ჩამოიღებს** ზმნებს, რომელთაც განსხვავებულ მნიშვნელობებთან ერთად ზმნისწინებით განსხვავებული ფორმებიც აქვთ, აწმყოში უზმნისწინო **იღებს** შეესატყვისება და, რაც მთავარია, გამონაკლისის გარეშე — მოცილე ფორმა **ღებულობს** ზმნის სახით არ გვხვდება. გვაქვს: ჯოხს, ჭირნახულს, მოსავალს, ზომას, ციხეს, წყალს, ქვანახშირს, მსხვერპლს, ფილმს,

სურათს, (თაროდან, კარადიდან) წიგნს, ნაყოფს, შედეგს, სარეცხს... იღებს. აქვე შემოვა ამ ზმნებით შედგენილი იდიომატური გამოთქმები და სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულები. კერძოდ: ხელს იღებს, თავის თავზე იღებს, სუნს იღებს, ეჭვს იღებს, სიტყვას იღებს, ყბად იღებს, გულიდან იღებს, მიზანში იღებს, ოთხში იღებს და სხვ. განსხვავებულ მნიშვნელობათა აწმყოშიც გარჩევანს განსხვავების საკითხი აქ არ ისმის. ეს საკითხი არ უნდა ისმოდეს მაშინაც, როცა იღებს ზმნურ ფორმას მიიღებს და ამავე მნიშვნელობით ნახმარი აიღებს ზმნის მნიშვნელობა აქვს. ამდენად, აწმყოში ლებულობს ზმნური ფორმის გაჩენის მიზეზად შინაარსობრივად განსხვავებულ საზიარო ფორმათა გარეგნულად, ფორმობრივადაც გარჩევის ტენდენციას ვერ მივიჩნევთ.

შენიშვნა: სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იღებს და ლებულობს ფორმები ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მნიშვნელობის მიხედვით. კერძოდ, იღებს არის რუსული *принимает* ზმნის ლექსიკური შესატყვისი (მაგ.: ავადმყოფს, გამოწვევას, გადაწყვეტილებას, მონაწილეობას იღებს), ხოლო ლებულობს კი — რუსული *получает* ზმნისა (მაგ.: ხელფასს, ბენსისა, წერილს ლებულობს; იხ. ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, სოხუმი, 1956, გვ. 74).

იღებს და ლებულობს ზმნურ ფორმათა ასეთი განაწილება მნიშვნელობის თვალსაზრისით არ შეეფერება ენაში არსებულ რეალურ ვითარებას და, რაც მთავარია, არც არავითარი ენობრივი საჭიროება არ არსებობს ასეთი ხელოვნური გარჩევისა. თუკი ენაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა იღებს ფორმას უპირატესობა ენიჭება ლებულობს ფორმასთან შედარებით, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ლებულობს ყველა შემთხვევაში ვერ უწევს მეტოქეობას იღებს ფორმას. რაც შეეხება იღებს ფორმას, იგი ყოველთვის თავისუფლად შეიძლება ჩავსვათ ლებულობს ფორმის ნაცვლად.

#### ითხოვს // თხოულობს:

პატიებას ვითხოვ ბავშვებისაგან, რომ ეს წიგნი დიდს მივუძღვენი (გ. ჩიმაჯ., თარგმ.). მეტეოროლოგები შევლას ითხოვდნენ („კომ.“). ხშირად ნატრობენ ლამის სიმშვიდეს, ხშირად ქარსა და წვიმას ითხოვენ (გ. ჯავახ.). გამლენი დაჟინებით ითხოვდა მაცდურის დასახელებას (გ. ქიქ., თარგმ.). ციმციმებენ ეს სინათლეები ველზე და საზრდოს ითხოვენ. საზრდოს ითხოვენ ყველაზე მოყრ-

ძალეზულნიც კი მათ შორის (თ. თარხ., თარგმ.). მიწა ტენს ითხოვს („სოფლ. ცხოვრ.“). ყველა თავის წილ სითბოს ითხოვს („ლელო“).

წასვლისთვის პატიებას თხოულობდა (ს. იორამ.). კაცი შველას თხოულობდა („სოფლ. ცხოვრ.“). არც იმას კითხულობს, ...რის გაკეთებას თხოულობს ამონენტი (თ. იოს.). ახლა მოვსულვარ და ანგარიშის გასწორებას ვთხოულობ (ე. ჭელ., თარგმ.). მუშა ისვენებს... ამას თხოულობს ორგანიზმი („კომ.“).

ითხოვს და თხოულობს ფორმები აწმყოს წყებაში ერთი და იმავე, სახელდობრ, თხოვნა-ხვეწნის, მოთხოვნის ან საჭიროების (საჭიროებს) მნიშვნელობით ხმარება.

ა) როცა ზმნას თხოვნა-ხვეწნის მნიშვნელობა აქვს, აწმყოს ითხოვს // თხოულობს ფორმებს მყოფადში ითხოვს ფორმა შესატყვისება. მაგალითად:

აწმყო: რას შვრება? პატიებას, შველას, შენდობას, მოწყალეებას... ითხოვს // თხოულობს.

მყოფადი: რას იზამს? პატიებას, შველას, შენდობას, მოწყალეებას... ითხოვს.

ბ) მოთხოვნის მნიშვნელობით ხმარებისას აწმყოს ითხოვს // თხოულობს ფორმებს მყოფადში მო-ზმნისწინიანი მო-ითხოვს ფორმა შეესაბამება. მაგალითად:

აწმყო: რას შვრება? პასუხს, ანგარიშის გასწორებას, გადაჭრილ სიტყვას, მაცდურის დასახელებას... ითხოვს // თხოულობს.

მყოფადი: რას იზამს? პასუხს, ანგარიშის გასწორებას, გადაჭრილ სიტყვას, მაცდურის დასახელებას... მოითხოვს.

გ) საჭიროებს ზმნის მნიშვნელობით ითხოვს // თხოულობს ფორმებს ე. წ. ზოგადი, უდროო აწმყოს გაგება აქვს. მაგალითად: ორგანიზმი დასვენებას, ბავშვი სითბოსა და ყურადღებას, მიწა ტენს... ითხოვს // თხოულობს. ამ მნიშვნელობით ზმნას აწმყოს გარდა სხვა ფორმები არ მოეპოვება.

ზემოთქმულის საფუძველზე აწმყო-მყოფადში ასეთი ვითარება გვაქვს:

აწმყო: ითხოვს // თხოულობს — მყოფადი: [მო-]ითხოვს.

თხოულობს ზმნას ცოლის შერთვის, დაქორწინების მნიშვნელობითაც ხმარობენ. მაგ.: „ამბობენ [სიმონა] ცოლს თხოულობსო“ (ე. ნინოშ.) ამ მნიშვნელობით აწმყოში პარალელური ფორმა (ცოლს) ითხოვს სახით არა გვაქვს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მყოფადის გაგებას იძლევა. თანამედროვე სალიტერატურო ქარ-

თულში უპირატესობა იმავე მნიშვნელობის მქონე ცოლს ირთავს ან დაქორწინდება ფორმებს ენიჭება, ხოლო შესიტყვებებს ცოლს თხოულობს და ცოლი მოჰყავს სასაუბრო ელფერი აქვს.

თხოულობს უობიექტოდ შეიძლება მათხოვრობს, გლახაობს მნიშვნელობითაც შეგვხვდეს. მაგ.: „დავდივარ ქვეყანაზე, ვთხოულობ და კეთილი ხალხის წყალობით ლუკმასა ვჭამ“ (ა. ყაზბ.). ასეთ კონტექსტში უმჯობესია მათხოვრობს ან მოწყალებას ითხოვს ფორმათა ხმარება.

### იკლებს // კლებულობს:

დეკემბერში მზის რადიაციის დაკლების გამო ჰაერის ტემპერატურაც იკლებს („კომ.“). მეცხრე ხუთწლეულში საქართველოში ცხენების რიცხვი ყოველწლიურად 2000-ით იკლებდა („კომ.“).

რატომ კლებულობს ზღვის დონე? („კომ.“). ბევრ სოფელში ყოველწლიურად კლებულობს პირუტყვის სულადობა („სოფლ. ცხოვრ.“).

### იმატებს // მატულობს:

[სირაქლემას] უკვე შებუმბლული წიწილა ნახევარ წელიწადში წონაში იმატებს 30 კილოგრამამდე („კომ.“). ავადმყოფს უვითარდება უმადობა, ... იმატებს ტემპერატურა („სოფლ. ცხოვრ.“).

[ავადმყოფის] გულმკერდი იმ მხარეს ზომავიცი კი მატულობს („სოფლ. ცხოვრ.“). მატულობს შრომის ტემპი („კომ.“).

იკლებს // კლებულობს, იმატებს // მატულობს მყოფადში შესაბამისად დაიკლებს, მო-იკლებს და მო-იმატებს ფორმებს გამოიყენებს (მაგ.: ფასები დაიკლებს, ზამთარში დღე მოიკლებს, გაზაფხულზე დღე მოიმატებს). უსრული ასპექტის გაგება აქვს მყოფადის მნიშვნელობით გამოყენებულ იკლებს, იმატებს ფორმებს (მაგ.: რას იზამს? დღე, ღამე, მოსახლეობის რაოდენობა მომავალში იკლებს ან იმატებს).

ამის მიხედვით, აწმყო-მყოფადში ასეთი ვითარება ვგაქვს:

აწმყო: იკლებს // კლებულობს — მყოფადი: [და-, მო-]იკლებს

აწმყო: იმატებს // მატულობს — მყოფადი: [მო-]იმატებს

### იფიცებს, იფიცავს, ფიცავს // ფიცულობს:

ერთი და იგივე, კერძოდ, ფიცით ამბობს, ფიცით არწმუნებს მნიშვნელობა აქვს იფიცებს, იფიცავს და, გარკვეულ შემთხვევაში, ფიცავს ზმნებს (ფიცავს ზმნას სხვა, სახელდობრ, შეჰფიცავს ზმნის — ფიცით აღთქმის — მნიშვნელობაც აქვს).

**მაგალითად:**

მის სახელს, მის მზეს, მის აკვანს **იფიცებს** ყველა ქართველი (ი. ნონეშ.). შენს თავს ვიფიცავ, ო. აფროდიტე, შენი მეუღლის ვიფიცავ სახელს (ე. კვიციანი, თარგმ.). მშობლიურთ ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვიფიცავ, რომ დავიცავ შენს უფლებას, შენს უფლებას სისხლით ვიცავ (გ. ტაბ.).

**იფიცებს, იფიცავს, ფიცავს** ზმნურ ფორმათა მნიშვნელობით იხმარება აწმყოში **ფიცულობს** ფორმაც. მაგალითად:

თან ხატზე და სახარებაზე **ფიცულობდა**, რომ ამ საიდუმლოებას სამარეში ჩაიტანდა (მ. ჯავახიანი). ამიტომაც, თქვენს მზეს რომ **ფიცულობს** (ნ. ქადაგი, თარგმ.).

მყოფაღში **იფიცებს // ფიცულობს** ზმნურ ფორმებს დაიფიცებს შეესატყვისება, ხოლო **იფიცავს, ფიცავს // ფიცულობს** ზმნურ ფორმებს კი — დაიფიცავს.

ამის მიხედვით, აწმყო-მყოფაღში ასეთი სურათი გვექნება:

აწმყო: **იფიცებს, იფიცავს, ფიცავს // ფიცულობს** — მყოფადი: **დაიფიცებს, დაიფიცავს.**

**იჩემებს // ჩემულობს:**

საზოგადოებაში [მდიდრები] განსაკუთრებულ ადგილს **იჩემებდნენ** (საქ. ისტ.). ვერ დახვედრიხარ სათანადოდ დიდებულ სტუმარს, პურადობას თუმცა **იჩემებ** (გ. ბარნი).

ისტორიაში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა ამა თუ იმ გამოჩენილ პიროვნებას რამდენიმე სახელმწიფო **ჩემულობს** („ლელა“). ვანა საჭიროა კულტურის ელემენტარულ წესებს ვასწავლიდეთ ადამიანს, რომელიც ინტელიგენტის წოდებას **ჩემულობს?** („კომ.“).

**იჩემებს // ჩემულობს** აწმყოს მოცილე ფორმებს მყოფაღში **დაიჩემებს** შეესატყვისება:

აწმყო: **იჩემებს // ჩემულობს** — მყოფადი: **დაიჩემებს.**

ზნნათა ამ წყებას მიჰყვება **იტყობს // ტყობილობს** ფორმებიც. მაგალითად:

პომპეუსის თანამგზავრთა ცნობებიდან ვიტყობთ, თუ როგორი იყო საქართველოს მდგომარეობა (საქ. ისტ.).

თითქმის ყოველდღე ვტყობილობთ შემზარავ ამბებს (გ. ასათ.).

აწმყოს **იტყობს // ტყობილობს** ფორმები სტილისტიკურად მოძველებული ჩანს. ეს ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ენაში იშვიათად იხმარება, მათ მეტწილად სინონიმური მნიშვნელობის მქონე **იგებს** ზმნა ცვლის.

**ცნობს** და **ნატრობს** ზმნურ ფორმათა გვერდით აწმყოს წყებაში — სასაუბრო მეტყველებასა და იშვიათად მხატვრული ლიტერატურის ენაშიც — გვხვდება **ცნობილობს** და **ნატრულობს** ფორმები, მაგ.: „ველარ **ვეცნობილობ** მშობლიურ ხეებს“ (გ. ტაბ.); „ჯაბა... სულ იმას **ნატრულობდა**, რაც შეიძლება მეტ ხანს გადაეღოთ არჩევნები“ (კ. კალ.).

ზემოთ განხილულ ზმნათა მონაცემების მიხედვით, აწმყო-მყოფადისათვის (დრო-კილოთა პირველი ჯგუფი) ასეთი სურათი გვაქვს:

იგებს // გებულობს	_____	გა-იგებს
იღებს // ღებულობს	_____	მი-იღებს, ა-იღებს
ითხოვს // თხოულობს	_____	[მო-]ითხოვს
იკლებს // კლებულობს	_____	[და-, მო-]იკლებს
იმატებს // მატულობს	_____	[მო-]იმატებს
იჩემებს // ჩემულობს	_____	და-იჩემებს
იფიცებს, იფიცავს, ფიცავს//ფიცულობს	_____	და-იფიცებს, და-იფიცავს

აწმყო-მყოფადის წარმოების თვალსაზრისით ასეთსავე სურათს გვიჩვენებს **იტყობს**, **ცნობს** და **ნატრობს** ზმნებიც. სახელობრ, აწმყო: **იტყობს // ტყობილობს**, **ცნობს // ცნობილობს**, **ნატრობს // ნატრულობს**; მყოფადი: **შე-იტყობს**, **იცნობს**, **ინატრებს**.

აწმყოს ვითარებას იმეორებს მისგან ნაწარმოები ნამყო უსრული და I კავშირებითი. მაგალითად:

**ნამყო უსრ.:** იგებდა // გებულობდა, იღებდა // ღებულობდა, ითხოვდა // თხოულობდა, იკლებდა // კლებულობდა, იმატებდა // მატულობდა, იჩემებდა // ჩემულობდა; იფიცებდა, იფიცავდა, ფიცავდა // ფიცულობდა.

**I კავშირებითი:** იგებდეს // გებულობდეს, იღებდეს // ღებულობდეს, ითხოვდეს // თხოულობდეს, იკლებდეს // კლებულობდეს, იმატებდეს // მატულობდეს, იჩემებდეს // ჩემულობდეს; იფიცებდეს, იფიცავდეს, ფიცავდეს // ფიცულობდეს.

მყოფადის ვითარებას იმეორებს მისგან ნაწარმოები ხოლმეობითი და მყოფადის კავშირებითი.

**ხოლმეობითი:** გა-იგებდა, მი-იღებდა, ა-იღებდა, [მო-]ითხოვდა, [და-, მო-]იკლებდა, [მო-]იმატებდა, და-იჩემებდა, და-იფიცებდა, და-იფიცავდა.

**მე. კავშირებითი:** გა-იგებდეს, მი-იღებდეს, ა-იღებდეს, [მო-]ითხოვდეს, [და-, მო-]იკლებდეს, [მო-]იმატებდეს, და-იჩემებდეს, და-იფიცებდეს, და-იფიცავდეს.



დრო-კილოთა მეორე ჯგუფი:

ნამყო ძირითადი: გა-იგო, მი-ილო, ა-ილო, [მო-]ითხოვა, [და-, მო-]იკლო, [მო-]იმატა, და-იჩემა, და-იფიცა.

II კავშირებითი: გა-იგოს, მი-ილოს, ა-ილოს, [მო-]ითხოვოს, [და-, მო-]იკლოს, [მო-]იმატოს, და-იჩემოს, და-იფიცოს.

დრო-კილოთა მესამე ჯგუფი:

I თურმეობითი: გა-უგია, მი-უღია, ა-უღია, [მო-]უთხოვია, [და-, მო-]უკლია, [მო-]უმატებია, და-უჩემებია, და-უფიცებია, და-უფიცავს.

II თურმეობითი: გა-ეგო, მი-ელო, ა-ელო, [მო-]ეთხოვა, [და-, მო-]ეკლო, [მო-]ემატებინა, და-ეჩემებინა, და-ეფიცებინა, და-ეფიცა.

III კავშირებითი: გა-ეგოს, მი-ელოს, ა-ელოს, [მო-]ეთხოვოს, [და-, მო-]ეკლოს, [მო-]ემატოს, და-ეჩემებინოს, და-ეფიცებინოს, და-ეფიცოს.

ცხრილიდან ჩანს, რომ მყოფადისა და სხვა დრო-კილოთა ფორმები აწმყოს იგებს, იღებს, ითხოვს, იკლებს, იმატებს, იჩემებს, იფიცებს, იფიცავს, ცნობს, ნატრობს ფორმებს ემყარება, მათს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. იქმნება ზმნის უღვლილების ერთიანი სისტემა, რომლის ფონზედაც გებულობს, ღებულობს, თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ჩემულობს, ფიცულობს, ცნობილობს, ნატრულობს, ტუობილობს ფორმები განცალკევებით დგანან.

(ფუძის წარმოების პრინციპის ერთიანობის მიხედვით, იგებს, იღებს, ითხოვს... ზმნები პირობითად შეიძლება იგებს ტიპის ზმნათა სახელით გავაერთიანოთ, ხოლო გებულობს, ღებულობს, თხოულობს... ზმნები კი — გებულობს ტიპის ზმნათა სახელით).

გებულობს ტიპის ზმნურ ფორმათა გაჩენა ენაში ისტორიულად ასპექტის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება და მას საფუძვლად ზმნათა ერთი ჯგუფის აწმყო-მყოფადის ფორმათა ანალოგიური წარმოება უძევს. ამგვარ (გებულობს ტიპის) ფორმათა წარმოება, რამდენადაც ის ენობრივი საჭიროებისათვის — ზმნის უღვლილების სისტემაში (პარადიგმაში) არსებული ცარიელი ადგილის შესავსებად არ ყოფილა მოხმობილი, გამართლებულად ვერ ჩაითვლება. არჩევანის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იგებს, იღებს, ითხოვს, იკლებს, იმატებს, იჩემებს, იფიცებს, იფიცავს, ცნობს, ნატრობს ფორმებს, როგორც ძირითადსა

და სალიტერატურო ენაში ისტორიულად დამკვიდრებულ ფორმებს.



კომისია ადგენს:

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში (ნამყო უსრულსა და პირველ კავშირებში) დადასტურებულ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე იგებს // გებულობს, იღებს // ღებულობს, ითხოვს // თხოულობს, იკლებს // კლებულობს, იმატებს // მატულობს, იჩემებს // ჩემულობს, იფიცებს, იფიცავს // ფიცულობს, ცნობს // ცნობილობს, ნატრობს // ნატრულობს პარალელურ ფორმათაგან არჩევანის დროს უპირატესობა მიენიჭოს იგებს, იღებს, ითხოვს, იკლებს, იმატებს, იჩემებს, იფიცებს, იფიცავს, ცნობს, ნატრობს ფორმებს, როგორც ძირითადს, სალიტერატურო ენაში გაბატონებულსა და ისტორიულად დამკვიდრებულ ფორმებს.

## თანდებულთა ხმარების საკითხები

### I. -ზე და -ში თანდებულთა მონაცვლეობის შესახებ

1. ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი სახელის -ზე და -ში-თანდებულნი ფორმა ერთი და იმავე დანიშნულებით იხმარება. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება: ბაზარში იყიდა და ბაზარზე იყიდა, ბინაში ეწვია და ბინაზე ეწვია, ქუჩაში გავიდა და ქუჩაზე გავიდა, გზაზე ეყარა და გზაში ეყარა, ავტობუსში ავიდა და ავტობუსზე ავიდა, ქორწილში დააბათია და ქორწილზე დააბათია, წესრიგში მოჰყავს და წესრიგზე მოჰყავს, მონაწილეობას იღებს ბაზრობაში და მონაწილეობას იღებს ბაზრობაზე, პენსიაში გავიდა და პენსიაზე გავიდა და სხვ.

2. ცნობილია, რომ -ზე და -ში თანდებულთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მოქმედების ადგილის ჩვენებაა: -ში საგნის შიგ, შინაგან სივრცეში მყოფობას გამოხატავს, -ზე კი — ზედაპირზე მყოფობას.

სივრცობრივი მიმართების (მოქმედების ადგილის) გამოსახატავად სახელი შეიძლება ორივე თანდებულს იგუებდეს, შეიძლება მხოლოდ — ერთ-ერთს. მაგ.: წიგნი დევს კარადაში და კარადაზე (ივარაუდება კარადის თავი), მაგიდაში (ივარაუდება მაგიდის უჯრა) და მაგიდაზე; ასევე: წყალში შევიდა, წყალში ჩავარდა, წყალში ჩაყვინთა და წყალზე გაწვა; წყალზე ტივტივებს, წყალზე ირხევა... მეორე მხრივ, ზის მატარებელში, ავტობუსში, ეტლში, სავარძელში, მაგრამ: მოტოციკლეტზე, ურემზე, ცხენზე, ტახტზე, სკამზე; დგას ოთახში, ლოჯიაში, მაგრამ: აივანზე, კიბის ბაჟანზე...

კონკრეტული საგნის სახელებთან -ზე და -ში თანდებულთა ეს ფუნქციები, ჩვეულებრივ, კარგად არის გამოჩენილი. საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი თანდებულის ამორჩევა ვადმოსაცემი შინაარსის მიხედვით ხდება, კერძოდ, შინაგანი სივრცისა და შიგ მყოფობისათვის — -ში თანდებულისა, ზედაპირზე მყოფობისათვის კი — -ზე თანდებულისა. სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ წესს მიჰყვება და დარღვევებიც (ერთი თანდებულის ნაცვლად მეორის ხმარება), ჩვეულებრივ, არც შეინიშნება და არც არის მოსალოდნელი.

3. მაგრამ -ზე და -ში თანდებულთა ფუნქცია შესიტყვეებაში ყოველთვის ასე ნათელი და გამჭვირვალე არ არის. ხშირად ჭირს ან თითქმის შეუძლებელია სივრცობრივი მიმართებების დადგენა და ზემოთ წარმოდგენილი დაპირისპირება -ზე და -ში თანდებულთა გამოყენებისა ხელშესახები არ არის.

შავალითად, ქართულისათვის სავსებით ბუნებრივი შესიტყვე-  
ბებია ტაბიძის ქუჩაზე მიდის და ქუჩაში მიდის. ამ შესიტყვებათა  
სხვაგვარად ხმარება შეცდომაა, თუმცა საფუძველი იმისა, თუ რა-  
ტომ უნდა ვიხმაროთ სახელი ერთ შემთხვევაში -ზე თანდებულის  
და მეორე შემთხვევაში კი -- -ში თანდებულის, ნათელი არ  
არის.

ამ და მსგავს შესიტყვეებში თანდებულთა ტრადიციულ გა-  
მოყენებაზე ლაპარაკობენ და რომელიმე (-ზე ან -ში) თანდებული-  
ანი ფორმისათვის უპირატესობის მინიჭებას ენობრივი ტრადიცი-  
ით ამართლებენ (თანდებულთა ამა თუ იმ დანიშნულებით გამოყე-  
ნებას ასეთ შემთხვევაში, ცხადია, კერძობითი ხასიათი აქვს და  
იგი შესიტყვების ფარგლებით განისაზღვრება).

დარღვევებს სალიტერატურო ენაში სწორედ თანდებულთა  
ფუნქციური გაურკვეველობა იწვევს. შესიტყვება, რომელშიც თან-  
დებულის ფუნქცია გამოკვეთილი არ არის, ადვილად ექვემდებარება  
უცხოენობრივსა და ანალოგიური კონსტრუქციების გავლენას,  
რის შედეგადაც ენაში მოცილე, პარალელური კონსტრუქცი-  
ები ჩნდება.

სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მცდარი კონსტრუქცი-  
ები სათანადო მართებულ და აგრეთვე ერთი სემანტიკური (თემა-  
ტიკური) წრის სახელებისათვის ანალოგიურ კონსტრუქციებთან მი-  
მართებით უნდა შეფასდეს.

4. ქუჩის სემანტიკური (თემატიკური) წრის სახელების ერთი  
ნაწილი ტრადიციულად -ზე-თანდებულიანია, ნაწილი კი — -ში-  
თანდებულიანი. -ზე-თანდებულიანია მოედანი, პროსპექტი/გამზირ-  
ი, ქვაფენილი, ბილიკი, სანაპირო, შარა, -ში-თანდებულიანია  
შესახვევი, გასასვლელი (ქუჩის გასასვლელი), ჩიხი, ხეივანი, ორ-  
დობე. შუკა. შავალითად, მიდის მოედანზე, პროსპექტზე/გამზირ-  
ზე, ქვაფენილზე... მაგრამ: შესახვევში, გასასვლელში, ჩიხში, ორ-  
დობეში (შდრ.: „გოგო მიდის მოხვეულში“, — ხალხ.).

ქუჩა და გზა ზემოთ დასახელებულ სახელთაგან განსხვავე-  
ბულ ვითარებას გვიჩვენებს. ისინი კონტექსტის მიხედვით -ში-  
თანდებულიანი ფორმითაც იხმარებიან და -ზე-თანდებულიანი  
ფორმითაც, კანონზომიერება ამ ფორმათა გამოყენებისას ენაში  
საკმაოდ კარგად არის გამოკვეთილი — მას მკაცრად განსაზღვრუ-  
ლი ენობრივ-სემანტიკური გარემო განაპირობებს.

5. ქუჩაზე/ქუჩაში. ქუჩა -ზე-თანდებულიანია, როცა რომელი-  
მე კონკრეტული ქუჩის დასახელება ან რომელიმე კონკრეტულ

ქუჩაზე მითითება ხდება, მაგ. შეკითხვას „რომელ ქუჩაზე ცხოვრობ?“ — ბუნებრივად მოსდევს პასუხი: ბარათაშვილის ქუჩაზე, ამ ქუჩაზე, ჭავჭავაძის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე... ასევე: მიდის, მისიერნობს, მეგობარი შეხვდა, მანქანა გააჩერა ბარათაშვილის ქუჩაზე, ამ ქუჩაზე, ჭავჭავაძის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე...

შენიშვნა: დასახელების გარეშეც -ზე-თანდებულიანი იქნება ქუჩა ზმნასთან გადადის. მაგ.: ტაბიძის ქუჩაზე გადადის და ქუჩაზე გადადის. ამ კონსტრუქციაში სახელის ამგვარ გამოყენებას ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს, ზმნას კი ამ მნიშვნელობას გადა- ზმნისწინი ანიჭებს. (მდრ.: წყალზე, ხილზე, ღობეზე გადადის).

სხვა შემთხვევაში, როცა კონტექსტით მსოლოდ ფაქტი გვანტერესებს და არა კონკრეტულად ის ადვილი, სადაც ეს ფაქტი მოხდა, ქუჩა -ში-თანდებულიანი იქნება: ქუჩაში მიდიოდა, ქუჩაში ეგდო, ქუჩაში იბოვა, ქუჩაში გავარდა, ქუჩაში ხეტიალობს, ქუჩაში სროლის ხმა გაისმა, თბილისის ქუჩებში ხალხმრავლობა...

მაგ.: „მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“ (ლ. ასათიანი). „ერთი ექიმი ცხოვრობდა ჩემს ქუჩაზე“ („თბილ.“), მაგრამ: „ქუჩაში, მტვერში წიქცა ბავშვი“ (გ. ტაბიძე), „ქუჩაში მძაფრი დაქროდა ქარი“ (გ. ტაბიძე).

ის თავისებურება, რომელიც ენაში -ზე და -ში-თანდებულიან ფორმათა გამოყენებას ახლავს, ზოგჯერ არ არის ხოლმე გათვალისწინებული, რაც სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული კანონ-ზომიერებისაგან გადახრად უნდა შეფასდეს. მაგალითად:

„ღვინით შექვიფიანებულმა ყმაწვილმა ქუჩაზე (უნდა იყოს: ქუჩაში) უმეტეაღყურეოდ მიტოვებული ტაქსი დაინახა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დგას ავტომობილი ქუჩაზე (უნდა იყოს: ქუჩაში)“ („თბილ.“); „გოგონა ქუჩაზე (უნდა იყოს: ქუჩაში) მისიერნობდა“ („თბილ.“); „დემენტევი ქუჩაზე (უნდა იყოს: ქუჩაში) გამოვიდა“ (გ. მერკვილაძე, თარგმ.).

როგორც ჩანს, ფორმათა ასეთ უმართებულო გამოყენებას ხელს უწყობს ანალოგიური შესიტყვებები, რომელთაც ქუჩის სემანტიკური წრის ფართოდ გავრცელებული სახელები (მოედანი, გამზირი/პროსპექტი, მაგისტრალი, ვატკეცილი, ტროტუარი, ქვაფენილი) ქმნიან. ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში კონტექსტისაგან განურჩევლად ეს სახელები -ზე-თანდებულიანები არიან. მაგ.: მანქანა გააჩერა მოედანზე/ღვინის მოედანზე, პროს-

პექტზე/მშვიდობის პროსპექტზე, გზატკეცილზე/კახეთის გზატკეცილზე, ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე, ქვაფენილზე...

იშვიათად საპირისპირო შემთხვევაც შეინიშნება: კონტექსტის მიხედვით კონკრეტულ ქუჩაზეა საუბარი, სახელი კი მოსალოდნელი -ზე-თანდებულიანი ფორმის ნაცვლად -ში-თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: „შრაგინი იმ ქუჩაში (უნდა იყოს: ქუჩაზე) იდგა, რომლითაც... გერმანელთა ჯარები ქალაქის გავლით წინ მიიწევდნენ“ (ი. იაშვილი, თარგმ.).

6. **გზაზე/გზაში.** ზოგჯერ კონტექსტში გათვალისწინებული არ არის ის სემანტიკური ნიუანსი, რომელიც სახელის -ზე და -ში-თანდებულიანი ფორმების გამოყენებას ახლავს, შედეგად კი უმართებულო შესიტყვებებს ვიღებთ. მაგ., **გზა** სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება.

ა) ერთი, ყველასათვის ცნობილი მნიშვნელობით, **გზა** არის დედამიწის ზედაპირზე გაყვანილი ზოლი, რომელიც ადამიანის, ტრანსპორტის მიმოსვლისათვის, მგზავრობისათვის არის განკუთვნილი. მაგ.: **საავტომობილო გზა**, **რკინი(ს)გზა**, **საურბე გზა**, **სახოფლო გზა**, **შარაგზა**, **ბეთანიის გზა**, **საქართველოს სამხედრო გზა...**

ამ მნიშვნელობით ნახმარი **გზა** შესიტყვებაში -ზე-თანდებულიანია. მაგ.: **გზაზე მიდიოდა**, **გზაზე ფეხი დაუცდა**, **გზაზე ეგდო**, **გზაზე ეყარა და სხვ.**

**გზა**, როგორც დედამიწის სავალი ნაწილი, კონკრეტული საგნის სახელია. მას მრავლობითი რიცხვის ფორმაც აქვს. **შდრ. საავტომობილო გზები**, **სანაოსნო გზები**. სათანადო კონტექსტებში **გზები** გამონაკლისის გარეშე -ზე-თანდებულიანი იქნება („დავიცვათ **გზებზე** მოძრაობის წესები!“).

-ზე-თანდებულიანია **გზა** გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას სათანადო კონტექსტებში: **ცხოვრების გზაზე**, **მოლიბუღ გზაზე**, **სწორ გზაზე დააყენა**, **შუა გზაზე გაჩერდა**.

ბ) **გზა** სხვა, განყენებული მნიშვნელობითაც იხმარება. კერძოდ, ეს არის: **მგზავრობა**, **მოგზაურობა**, **სვლა** (მაგ., **გზა მშვიდობისა უსურვა** ნიშნავს: **შინ მშვიდობით მისვლა**, **მშვიდობით მგზავრობა უსურვა**). **გზა** ამ მნიშვნელობით (ე. ი. **გზა**, როგორც **სვლა**, **მგზავრობა**, **მოგზაურობა**) ხმარებისას მხოლოდ -ში-თანდებულიანი ფორმით ქმნის მართებულ შესიტყვებას. მაგალითად:

„**გზაში** ნაკადულს ნაკადული შეემატება“ (ი. გოგებაშვილი):

„მედის საცოლვე გზაშია და საცაა ჩამოვარ“ (მ. გომართელი, თარგმ.); „მთელი დღე გზაში ვარ, — თავს იმართლებდა მატარებლის გამცილებელი“ („კომ.“).

-ზე და -ში თანდებულთა ამგვარ განაწილებას, რაც სათანადო სახელის სხვადასხვა მნიშვნელობით არის განსაზღვრული, ქართულ სალიტერატურო ენაში ნორმის ხასიათი აქვს, თუმცა გამონაკლისის სახით თანდებულიან ფორმათა უმართებულოდ გამოყენების შემთხვევებიც შეინიშნება. მაგ.:

„მოხუცი კაცი მიდის გზაში, ეტყობა წისქვილისაკენ აუღია გეზი“ („სოფლ. ცხოვრ.“).

მიდის ზნნა ბუნებრივ წყვილს -ზე-თანდებულიან სახელთან ქმნის: გზაზე მიდის (შდრ. თ. ჭილაძის ცნობილი რომანის სახელწოდება „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“).

„რას ფიქრობდნენ გზის მშენებლები, რომლებმაც... საგზაო ნიშნის ვარგულე მიატოვეს გზაში (უნდა იყოს: გზაზე) დაყრილი ხრეში?“ („კომ.“); „— ნოღარ, გააჩერე მანქანა, ბავშვიანი ქალია! — ნუ იცი ეგეთი რამეების აჩემება. გზაში (უნდა იყოს: გზაზე) მგზავრს რა გამოლევს?“ („ცისკ.“); „ისინი მოვალენი არიან დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური წესები ქუჩებში, ორღობებში, გზებში“ („სოფლ. ცხოვრ.“). უნდა იყოს: ქუჩებში, ორღობებში, მაგრამ: გზებზე, გზაჯვარედინებზე.

7. ბაზარში/ბაზარზე. ა) კონკრეტული მნიშვნელობით ბაზარი არის სურსათ-სანოვაგითა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შემოსაზღვრული ადგილი. ამ მნიშვნელობით ხმარებისას ბაზარი (შესაბამისად ბაზრები) მხოლოდ -ში-თანდებულიანი ფორმით შექმნის მართებულ შესიტყვებას. ბაზარში (ბაზრებში) დიდძალი სურსათ-სანოვაგე იყიდება, საკოლმეურნეო ბაზარში (ბაზრებში) ხალხმრავლობაა, ბაზარში დგას, ბაზარში ნაცნობს შეხვდა, ბაზარში ხეტიალობს, ბაზრიდან ბაზარში დაეხეტება...

ბოლო წლების პრესის ენასა და სასაუბრო მეტყველებაში მართებელი -ში-თანდებულიანი ფორმის გვერდით -ზე-თანდებულიანი ფორმაც იყიდებს ფეხს. (ბაზარ-სიტყვით შედგენილ -ზე-თანდებულიან კონსტრუქციას ისტორიულად ბაზარ- და ბაზრობა სიტყვათა სინონიმური გამოყენების შესაძლებლობა უდევს საფუძვლად). მაგალითად:

„ქალაქ ტუაფსეს ბაზარზე ციტრუსებით მრავალ მოვაჭრეს შეხვდებით“ („კომ“). „იგი იღბა ვოლგოგრადის ბაზარზე და

ფორთოხალს ყიდდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საკოლმეურნეო ბაზრებზე... ბლომად იყიდება სტაფილო“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მისთვის პირველი შემთხვევა როდია რუსეთის ბაზრებზე ხეტიალი“ („კომ.“).

დასახელებულ მაგალითებში ბაზარი კონკრეტული მნიშვნელობით არის ნახმარი, მისთვის ბუნებრივი -ში-თანდებულიანი ფორმა (ბაზარში) იქნებოდა.

ბ) ბაზარი ზოგადი, განყენებული მნიშვნელობითაც იხმარება და საქონლის მიმოქცევის სფეროს ნიშნავს. ბაზარი ამ გაგებით სათანადო კონტექსტში მხოლოდ -ზე-თანდებულიანი ფორმით ქმნის მართებულ შესიტყვებას. მაგ.: „ახლო მომავალში წიგნის ბაზარზე გამოვა კრებული „ქართული ფოლკლორი“ („თბილ.“), შავ ბაზარზე დაეცა აქციების ფასი, საშინაო ბაზარზე, საგარეო ბაზარზე...

-ზე-თანდებულიანია ბაზარი ზმნასთან გააქვს. ბაზარზე გააქვს ნიშნავს; რეალიზაციას უკეთებს, ყიდის. მაგ.: გლენს ნამეტი პროდუქცია ბაზარზე გააქვს.

მეორე მხრივ, ფუძეთა საერთო წარმომავლობის მიუხედავად, ბაზარ- და ბაზრობა სიტყვები სხვადასხვა თანდებულიან კონსტრუქციას ქმნიან: ბაზარში იყიდა, მაგრამ: ბაზრობაზე იყიდა; საკოლმეურნეო ბაზარში ხალხმრავლობა, მაგრამ: სასკოლო ბაზრობაზე ხალხმრავლობა.

ბ. ქორწილში/ქორწილზე. იხმარება როგორც ქორწილში მიიწვია, ქორწილში დაპატიჟა, ქორწილში იყო, ასევე: ქორწილზე მიიწვია, ქორწილზე დაპატიჟა, ქორწილზე იყო... მაგალითად:

„ვაჟი ვერ შეგუებია ამხანაგის დაკარგვას და მუდამ მასზე ფიქრობს — ქორწილშიაც მიიწვევს ცივ სამარეში მწოლარეს“ („ხალხ. სიტყვ.“); „წეზარხოშებულ მძღოლს გაახსენდა, რომ მეგობართან ქორწილში იყო დაპატიჟებული“ („კომ.“).

მაგრამ:

„მაღე ქორწილზე მიპატიებულმა ხალხმა იწყო დინა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „კომკავშირლები არ უნდა დადიოდნენ ზომას გადასულ, დიდ ქორწილებზე“ („ახ. კომ.“).

ქორწილი ყველგან ტრადიციული -ში-თანდებულიანი ფორმით უნდა დარჩეს.

სალიტერატურო ენაში -ზე-თანდებულიან ფორმათა წინ წამოწევას ანალოგიური კონსტრუქციები უწყობს ხელს. შდრ. -ზე-თანდებულიანი ფორმები ისეთ განყენებულ სახელებთან, როგორი-



ცა კონცერტი, პარადი/აღლუმი, პანაშვიდი, დაკრძალვა... ყველა ეს სახელი სათანადო კონტექსტში გამონაკლისის გარეშე -ზე-თანდებულიანია: კონცერტზე, პარადზე, პანაშვიდზე, დაკრძალვაზე... იყო (მაგრამ: გასვენებაში იყო. შდრ. აგრ. დიალექტ. ტირილში, სატირალში იყო).

2. ავტობუსში/ავტობუსზე ტრანსპორტში/ტრანსპორტზე. ტრანსპორტი, როგორც მატერიალური წარმოების დარგი, ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა და სათანადო კონტექსტებში -ზე-თანდებულიანი იქნება (მაგ.: „ეს ბრძოლა... უნდა წარმოებდეს ფართო ფორმით — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე“ — „კომ.“).

ტრანსპორტი ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობით, ქალაქის გადასაყვან საშუალებათა გამაერთიანებელი ზოგადი სახელია და ხშირად იმავე კონტექსტებში იღებს მონაწილეობას, რომლებშიც ბუნებრივ შესიტყვებებს ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი ქმნის: აღის, შედის, ზის, ნაცნობს ხვდება ავტობუსში, ტროლეიბუსში, ტრამვაიში, მატარებლის ვაგონში... ტრანსპორტში.

დასახელებულ შემნებთან ტრანსპორტის სემანტიკური წრის სახელები მხოლოდ -ში-თანდებულიანი ფორმით ქმნიან მართებულ შესიტყვებებს, მაგ.: „ტრანსპორტში ხალვათობა იგრძნობოდა“ („თბილ.“); „საზოგადოებრივ ტრანსპორტში ახვედით, ადგილი არ არის“ („თბილ.“); „ავტობუსში ახალგაზრდები ამოვიდნენ“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამ შთაბეჭდილებით ავედით ჩვენთვის განკუთვნილ ლოკომოტივის ვაგონში“ („თბილ.“).

-ზე-თანდებულიანი ტრანსპორტზე, ავტობუსზე, ტრამვაიზე, ტროლეიბუსზე ავიდა და მისთ. სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგ.: [მოსწავლეები] ავლენ ტრანსპორტზე (უნდა იყოს: ტრანსპორტში) და გადაციცებით იწყებენ ადგილის ძებნას“ („თბილ.“); „... № 11 ავტობუსზე (უნდა იყოს: ავტობუსში) ავედი“ („თბილ.“); „ბაქანი მხოლოდ სამ ვაგონს სწევდა და დანარჩენ ვაგონებზე (უნდა იყოს: ვაგონებში) ასვლა გამწელებულია“ („სოფლ. ცხოვრ.“); „კონტროლიორს იშვიათად ნახავთ ტრამვაიზე, ავტობუსზე, ტროლეიბუსზე“ („თბილ.“). უნდა იყოს: ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში.

-ზე-თანდებულიანი ფორმის გამოყენებას გარკვეულწილად ტრანსპორტის თემატური წრის სახელებთან ხშირად სახმარი აღის ზმნის სემანტიკა განაპირობებს, თუმცა აქ აღის უფრო ტრანსპორტში ჩაჯდომას და მგზავრობას ნიშნავს და არა მხოლოდ ასე-

ლას — ქვევიდან ზევით სვლას (შდრ. აგრეთვე ამ თვალსაზრისით კიბეზე ავიდა, მაგრამ: კოშკში ავიდა, სათვალთვალო ჭიხურში ავიდა).

-ზე-თანდებულისანი სახელი ადის ზმნასთან ავტობუსზე, ტროლეიბუსზე, ტრამვაიზე, ვაგონზე ავიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართებული, თუ კონსე ავტობუსს, ვაგონს, ტრამვაის, ტროლეიბუსს მაღლა, სახურავზე, თავზე მოექცევა (შესაკუთებლად, შესაღებად...).

10. ბინაში/ბინაზე. ა) ბინა არის ოჯახის საცხოვრებლად გამოყოფილი ნაწილი სახლისა, შენობისა. ბინა, ჩვეულებრივ, ოთახისა თუ ოთახებისა და დამხმარე სათავსებისაგან შედგება (მაგ.: მზიანი ბინა, სამოთახიანი ბინა). ეს ბინის ერთ-ერთი და შედარებით ახალი, მაგრამ თანამედროვე ქართულში ყველაზე მეტად გავრცელებული მნიშვნელობაა.

ბინა ამ მნიშვნელობით ხმარებისას სათანადო კონტექსტებში -ში-თანდებულისანი ფორმით ქმნის მართებულ შესიტყვებებს.

მაგალითად:

„იგი კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინაში ცხოვრობს“ („თბილ.“); „რამდენიმე ოჯახი უკვე გადავიდა ახალ ბინაში“ („თბილ.“); „ოპერატიულმა ჯგუფმა სხვის ბინაში შეპარული ახალგაზრდა შეიპყრო“ („თბილ.“); „... არ იკითხავთ, რა დახვდით ახალ-შოსულებს თავიანთ ახალ ბინებში?“ („კომ.“).

ამავე ფუნქციით ენაში -ზე-თანდებულისანი ფორმაც იხმარება. ბინაში და ბინაზე ფორმათა პარალელური გამოყენება განსაკუთრებით თვალში საცემია სამგლოვიარო განცხადებებში. პანაშვიდი (გამართება) განსვენებულის ბინაში და განსვენებულის ბინაზე თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს გაზეთის ფურცლებზე.

მოცილე -ზე და -ში-თანდებულისანი ფორმათაგან უპირატესობა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მართებულ ბინაში ფორმას უნდა მივანიჭოთ. მაგ.: „[აბესალომი] რამდენიმე, დღის შემდეგ თავისი ოთხი ბავშვით ახალშერთული მეუღლის ბინაზე (უნდა იყოს: ბინაში) გადასახლდა“ („განთიადი“); „[მან] ხელი მოაწერა პენსიონერ ქალთან და მის ბინაზე (უნდა იყოს: ბინაში) გადავიდა“ („თბილ.“); „ისინი ერთ ბინაზე (უნდა იყოს: ბინაში) ცხოვრობდნენ“ (გ. მერკვილაძე, თარგმ.); „პანაშვილი 26, 27/III 7 ს. ბინაზე, პლუხანოვის გამზ. 2/8“ („თბილ.“). შდრ. გაზეთის იმავე გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება: „სამოქალაქო პანაშვილი — 26 და

27 მარტს, საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში — პლენანონის პროსპექტი 2/8“.

შენიშვნა: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია -ზე-თანდებულიანი ბინაზე დგას (ნიშნავს: დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს). მაგ.: „იმ ბინაზე, სადაც მამაჩემი იღვა... ვხედებოდი გინაზის მოსწავლე ყმაწვილს“ (დ. კლიაშვილი). ეს შესიტყვება სასაუბრო მეტყველებაში დღესაც იხმარება, თუმცა უპირატესობა აშკარად ნაქირავებში (ნაქირავებ ბინაში) ცხოვრობს შესიტყვებას ენიჭება. სასაუბრო მეტყველების ნიმუშია ბინაზე სადა ხარ? (ნიშნავს: სად გაჩერდი? სად დაბინავდი?). უპირატესობა აქაც სალიტერატურო ბინად სადა ხარ? შესიტყვებას ენიჭება.

ბ) ბინაში, განსაკუთრებით კი ბინაზე ფორმები თანამედროვე ქართულში შინ ზმნისართის ფუნქციითაც იხმარება. შინ ზმნისართის ფუნქციით კი არც ბინაში ფორმის ხმარებაა სწორი და არც — ბინაზე ფორმისა.

მაგალითად:

„ავადმყოფის მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ის ახლა ბინაში იმყოფება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „გაუმჯობესდება ავადმყოფთა ბინაში მომსახურება“ („კომ.“); „ბოდიში, რომ ბინაში გაწუხებთ“ („თბილ.“); „მეტი ყურადღება ეთმობა ავადმყოფთა ბინაზე მომსახურებას“ („თბილ.“); „აქვე შეგიძლიათ ბინაზე გამოიძახოთ მზარეული“ („თბილ.“); „საავადმყოფოს ექიმს... ბინაზე დაურეკეს“ („კომ.“); „... მისურამძეს ბინაზე მიაართვეს დახასიათება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...დაინერგა ბინაზე წამლის მიტანის პრაქტიკა“ („სამშ.“); „[ის] დიდი ხნის უნახავ ნაცნობს სწვევია ბინაზე“ („თბილ.“).

დასახელებულ შემთხვევებში ბინაში და ბინაზე ფორმები ერთნაირად უნდა შევზღუდოთ და უპირატესობა შინ ზმნისართს მიენიჭოთ: შინ იმყოფება, შინ მომსახურება, შინ გამოიძახეთ, შინ დაურეკეს, დახასიათება შინ მიაართვეს, წამლის შინ მიტანის პრაქტიკა, შინ ეწვეია...

შინ ზმნისართის ფუნქციით თანამედროვე ქართულში ხახლში ფორმაც იხმარება (მაგ.: „ბაჩანა ხახლში დაბრუნდა“, — ნ. დუმბაძე). ეს ფორმა სასაუბრო მეტყველებასა და მწერლობაში დასაკულურ ქართული ნაკადის შემონატანია და მისი გამოყენება შინ ზმნისართის ფუნქციით ისევე უმართებულოა, როგორც ბინაში/ბინაზე ფორმებისა.

11. მინდორში/მინდორზე ქართული ენის განმარტებითი ლექ-

სიკონის (ქეგლ-ის) მიხედვით მინდორს ორი მნიშვნელობა აქვს: ა) სწორი და ბალახიანი ადგილი; ბ) სახნავ-სათესი ადგილი.

ა) მინდორი, როგორც სახნავ-სათესი ადგილი, სათანადო კონტექსტში, ჩვეულებრივ, -ში-თანდებულიანია.

მაგალითად:

„კოლმეურნეობის მინდორში უმეტესადაა ურთოდ იყო მიტოვებული ტრაქტორი“ („კომ.“); „იქითა მხარეს მინდორში მომუშავე ადამიანების ხმა ისმოდა“ („თბილ.“); „თელეთის მინდვრებში“ (სათაური, „კომ.“); „საკოლმეურნეო მინდვრებში საღამომდე არ შემწყდარა ტრაქტორების გუგუნი“ („სოფლ. ცნობრ.“).

ბ) მინდორი, როგორც სწორი, ბალახიანი ადგილი, ძირითადად -ში თანდებულით იხმარება. შედარებით იშვიათად კი — -ზე თანდებულით. ერთი და იმავე დანიშნულებით -ში და -ზე-თანდებულიან ფორმათა გამოყენება მხოლოდ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და სასაუბრო მეტყველებას არ ახასიათებს. ასეთი შემთხვევები XIX საუკუნისა და მომდევნო ხანის მწერალთა ნაწერებშიც შეინიშნება.

-ზე თანდებულის გამოყენება ბუნებრივი ჩანს იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტით ხაზგასმულია მოქმედება, რომელიც ბალახით დაფარული მიწის ზედაპირზე ხდება. მაგ.: „და ერთ წუთს უკან ძროხა ბლავილით გაიწეობოდა ფართო მინდორზედ“ (ილია). (მაგრამ: ნახირი მინდორში გარეკა, ნახირს მინდორში აძოვებს).

სხვა შემთხვევაში, რადგან მინდორი ბუნებრივად შემოსაზღვრული რელიეფია, მხარი უნდა დავუჭიროთ ენობრივ ტრადიციას, რომელიც უბრატესობას აშკარად -ში-თანდებულიან ფორმებს ანიჭებს. რაც შეეხება -ზე-თანდებულიან ფორმებს, მათი გამოყენება უნდა შეიზღუდოს. მაგალითად:

„ტრილ მინდორზე შემაჩერა პატარა ბორცვმა“ (ხ. ბერულავა); „და ხან მინდორზე, ხან კი ზღვის ფსკერზე სამარის ბორცვი ჩნდებოდა ხოლმე“ (ო. კლაძე); „... მინდორზე ოცდაათამდე ბიჭი შეეკრობათ“ („ცისკარი“); „მძლოლმა მანქანა შეაჩერა, რათა მგზავრებს საშუალება მისცემოდათ დამტკბარიყვნენ მინდორზე მშვიდად მჯდარი მაიმუნების ცქერით“ („კომ.“).

შდრ. ილუსტრაციები. რომლებშიც მინდორი -ში-თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი:

„მინდორში წაველ, სწორებო!“; „მინდორში, ბალახ-ბულახში ამოსულიყო იაო“ (ხალხ.); „იდგა მინდორში ერთი კაკლის ხე“

(„ნორჩი ლენინელი“); „მინდორში ვდგავარ და ქორებს ვესტვენ“ (ო. ჭილაძე); „მარტონი იყვნენ ამ უკაცრიელ მინდორში“ („საქ. ქალი“); „კაცი ყოველ დღით მინდორში მიდიოდა“ („სპარს. ზღაპრ.“); „ეს როდინი მინდორში ვიპოვე“ (მ. გომართელი, თარგმ.); „ეს ტრიალ მინდორში კი არ ხდებოდა“ („კომ.“); „ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ მინდორში გავიდა“ („ქართ. ზღაპრ.“).

როგორც ჩანს, მინდორზე ფორმის გავრცელებას ხელს უწყობს სინონიმური მნიშვნელობის მქონე ველი (ველი ქეგლ-ის მიხედვით არის დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ; ბალახიანი, — დიდი მინდორი). ველი ანალოგიურ შესიტყვებებში -ზე-თანდებულებიან კონსტრუქციებს ქმნის: ველზე გავიდნენ (სამუშაოდ), ველზე მუშაობა, ალაზნის ველზე ნისლი ჩამოწვა...

მინდორზე ფორმის შემცველ ზოგიერთ კონტექსტში ამკარად იგრძნობა აგრეთვე ბალახზე, მოლზე, მიწაზე, ვაკე ადგილზე, დასაფრენ მოედანზე (დაჯდა, დაყარა, კარავი გაშალა) შესიტყვებათა ასოციაცია.

ბ) ბოლო დროს სპორტული პრესის ენაში გახშირდა მინდორის ხმარება ფეხბურთის მოედნის მნიშვნელობით, იგი ავიწროებს და ლამისაა სიტყვათხმარებიდან განდევნოს ტრადიციული მოედანი. მოედნის მნიშვნელობით ხმარებისას მინდორი გამონაკლისის გარეშე -ზე-თანდებულებიანია.

მაგალითად:

„ფეხბურთის მინდორებზე“ („კომ.“) (ამ საერთო სათაურით იბეჭდება ხოლმე ფეხბურთთან დაკავშირებული მასალები); „მინდორზე გამოვლენ წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები“ („ლელო“); „მინდორზე — ვეტერანები“ („ლელო“); „თბილისელები გაბატონდნენ მინდორზე“ („კომ.“); „გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე“ („თბილ.“).

მინდორი ერთ-ერთი მნიშვნელობით სწორი და ბალახიანი ადგილია. ფეხბურთის თამაში ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე შეიძლება და, მით უმეტეს, მინდორშიც (და არა: მინდორზე). მაგრამ სიტყვის ასეთ არატრადიციულ გამოყენებაზე რომ არაფერი ვთქვათ, გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: მოედანი მინდორის მსგავსად მხოლოდ სწორი და ბალახიანი ადგილი კი არ არის, არამედ გარკვეული დანიშნულებით გამოსაყენებლად სპეციალურად მოწყობილი ადგილიც. ეს შინაარსობრივი ნიუანსი არა აქვს და არც

შეიძლება ჰქონდეს მინდორს. ისეთი სპორტული ღონისძიება, როგორც საფეხბურთო მატჩია, ფეხბურთის მოედანზე შეიძლება მოეწყოს და არა მინდორზე.

ბურთი (მობურთალი) და მოედანი ქართულში ნიადაგ ერთად სახმარი სიტყვებია. მაგ.: „ბურთი და მოედანი დარჩა“ (ანდ.); „...მობურთალსა მოედანი“ (რუსთაველი); „ჰა ბურთი, ჰა მოედანი...“ (აკაკი).

ამიტომ სალიტერატურო ენაში ასეთი ჩანაცვლება მიზანშეწონილი არ არის. მოედნის ნაცვლად მინდვრის ხმარება უნდა შეიზღუდოს და უპირატესობა ყველა შემთხვევაში ტრადიციულ და მნიშვნელობის მიხედვით ზუსტ მოედანს მიენიჭოს.

12. წესრიგზე/წესრიგში მოჰყავს. თანამედროვე ქართულში ფორმათა ვარიანტული გამოყენება ახასიათებს შესიტყვებას წესრიგში მოჰყავს და წესრიგზე მოჰყავს. ეს გამოთქმა ქართულში რუსულის გზით გავრცელდა (შდრ. привести в порядок), სემანტიკურად ახლოს მდგომი ზმნებისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი შეიძინა და სალიტერატურო ენაში არსებობის უფლება მოიპოვა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გამოთქმა ცდილობს გაიფართოს გამოყენების არე, რაც არ არის სასურველი. მისი მოხმარების სფერო საქმიანი ქალაქების ენით უნდა შემოიფარგლოს.

-ზე-თანდებულიანი კონსტრუქცია — წესრიგზე მოჰყავს — გაკეთებული ჩანს ყველაფერი რიგზეა კონსტრუქციის ანალოგიით. სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უპირატესობა ტრადიციულ -ში-თანდებულიან კონსტრუქციას — წესრიგში მოჰყავს — უნდა მიენიჭოს. მაგალითად:

„აუცილებელია წესრიგზე მოიყვანოთ თქვენი ავტომანქანები“ („თბილ.“); „როდის მოიყვანენ ჩვენს ქუჩას წესრიგზე?“ („თბილ.“); „სამი დღის განმავლობაში ეზო და სახლ-კარი წესრიგზე მოვიყვანეთ“ („სოფლ. ცხოვრ.“).

შდრ. მართებული: „წესრიგში მოჰყავთ საცხოვრებელი სახლები“ („კომ.“); „გზები წესრიგშია მოყვანილი“ („კომ.“).

13. მონაწილეობას იღებს ბაზრობაში/ბაზრობაზე. -ზე და -ში თანდებულთაგან ერთ-ერთის ამორჩევისას ზოგჯერ აუცილებელია ზმნის სემანტიკისა და, შესაბამისად, მისი სინტაქსური ძალის გათვალისწინება. მაგ., მონაწილეობას იღებს/მონაწილეობს ზმნური ფორმები გრამატიკულად მართებულ კონსტრუქციებს მხოლოდ -ში-თანდებულიან სახელებთან ქმნიან. ამავე დანიშნულებით -ზე-

თანდებულებიან სახელთა გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმა-  
თაგან გადახრად უნდა იქნეს მიჩნეული. გრამატიკულად მართე-  
ბული შესიტყვებებია მონაწილეობას იღებდა/მონაწილეობდა მუ-  
შათა მოძრაობაში, სოფლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრება-  
ში, დიდ სამამულო ომში, სპექტაკლში, კონკურსში, გამოფენაში,  
ბაზრობაში, კამათში, ყრილობის მუშაობაში...

მაგალითად:

„მონაწილეობას მივიღებ საბჭოთა კავშირის პირველობაში“  
(„კომ.“); „და აი, თქვენ ამჯერად მონაწილეობას იღებთ ინსტრუ-  
ქის ზამთრის ოლიმპიადაში“ („ახ. კომ.“).

-ზე-თანდებულებიანი ფორმები უმართებულოდ არის ნახმარი  
შემდეგ წინადადებებში:

„ეს გუნდი რომის პირველობაზე (უნდა იყოს: პირველობაში)  
მონაწილეობდა“ („ახ. კომ.“); „საბჭოთა კავშირი მონაწილეობს  
ყველა საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე (უნდა იყოს:  
ბაზრობაში)“ („სამშ.“); „ამ ასპარეზობაზე (უნდა იყოს: ასპარეზო-  
ბაში) თვით პერაკლე იღებდა მონაწილეობას“ („სოფლ. ცხოვრ.“).

14. **ზაფხულში/ზაფხულზე.** დროის სემანტიკის მქონე სახელებ-  
ბის ერთი ნაწილი დროული მიმართების გადმოსაცემად -ში თან-  
დებულს დაირთავს, მეორე ნაწილი კი — -ზე თანდებულს. ტრადიციულად -ში-თანდებულებიანია **ზაფხულში, ზამთარში, -ზე-თან-**  
**დებულებიანია გაზაფხულზე, შემოდგომაზე.** ამ სახელების სხვა  
ფორმით გამოყენება დაუშვებელია. არ შეიძლება ითქვას **ზაფხულ-**  
**ზე, ზამთარზე.** ასეთი ფორმები კი, მართალია, ძალზე იშვიათად,  
მაგრამ მაინც გვხვდება ნაბეჭდ პროდუქციაში: „ქორფლი უმეტე-  
სად უჩნდებათ ქერათმიან ადამიანებს და განსაკუთრებით შეინაშ-  
ნება გაზაფხულზე და ზაფხულზე“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ზაფხულ-  
ზე მას ისევ მიეღიან ამერიკაში“ („კომ.“); „დიდი, ნათელი ოთახის  
კედლები სულ ერთთავად ელენესეული ნახატებითაა მოფენილი —  
თბილისი გაზაფხულზე, თბილისი ზაფხულზე, თბილისი შემოდგო-  
მაზე, თბილისი ზამთარზე“ („ახ. კომ.“). ერთადერთი მართებული  
ფორმებია: **ზამთარში, ზაფხულში** (მაგრამ: **გაზაფხულზე, შემოდ-**  
**გომაზე**).

15. **პენსიაში/პენსიაზე.** თანამედროვე ქართულში თითქმის თა-  
ნაბრად იხმარება -ში და -ზე-თანდებულებიანი შესიტყვებები —  
**პენსიაში** გავიდა და **პენსიაზე** გავიდა. მაგალითად:

„[დამტკიცდეს ბრძანებულება] ამხ. . . -ის პენსიაში გას-  
ვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კავშირგამულობის მინისტ-

რის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ („კომ.“); სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. . . . .  
გათავისუფლა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლის გამო“ („კომ.“); „ღროა პენსიაში გახვლავც იფიქრო“ (რ. მიშველაძე); „ბოლოს დაავადმყოფდა და პენსიაში გავიდა“ („თბილ.“); „[ის] დიდი ხანია პენსიაშია გახული“ („თბილ.“).

[ის განთავისუფლებულია] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „იმავე რიცხვის ბრძანებულეებით ამხ. . . . . განთავისუფლებულია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო“ („თბილ.“); „პენსიაზე გასვლის შემდეგ შემინარჩუნდება თუ არა ეს შეღავათი?“ („სოფლ. ცხოვრ.“); „რატომ ვერ ვუფრთხილდებით „პენსიაზე გახულ“ მოხუცებს?“ („კომ.“).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ფორმათა ვარიანტული გამოყენება ახასიათებს ოფიციალურ განცხადებებსაც.

იშვიათად ეს შესიტყვება ენაში გადავიდა ზმნური ფორმიტაც გვხვდება. სახელს ამ შემთხვევაში, როგორც მოსალოდნელი იყო, -ზე-თანდებულისანი ფორმა აქვს. მაგ.: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. . . . . გათავისუფლა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გადახვლასთან დაკავშირებით“ („კომ.“).

სალიტერატურო ენაში, მართალია, კალკირებული, მაგრამ უკვე დამკვიდრებული ანალოგიური შესიტყვებებიც გვაქვს.

შდრ., ერთი მხრივ: ბიულეტენზე/საავადმყოფო ფურცელზე გადავიდა, (შვილის) კმაყოფაზე გადავიდა (გადაიყვანეს), ბიულეტენზეა/საავადმყოფო ფურცელზეა, ვისიმე კმაყოფაზეა და: პენსიაზე გადავიდა, პენსიაზეა (შდრ. აგრ. ექსკურსიაზეა).

მეორე მხრივ: შვებულებაში გავიდა, შვებულებაშია და: პენსიაში გავიდა, პენსიაშია (შდრ. აგრ.: მივლინებაშია, ექსპედიციაშია).

რადგან პენსიაზე გადავიდა, პენსიაში გავიდა შესიტყვებათა დამკვიდრებას ენაში გარკვეული საფუძველი ჰქონდა ანალოგიურ შესიტყვებათა სახით, პენსიაზე გავიდა გამოთქმის გავრცელებასაც აღარაფერი უშლიდა ხელს; რაც მთავარია, არც ერთი ამ შესიტყვებათაგან -ზე და -ში თანდებულთა გამოყენების თვალსაზრისით



ქართული ენის ბუნებას არ ეწინააღმდეგება. გამოყენების სიხშირის მიხედვით ასეთი სურათია: პენსიაზე გადავიდა იშვიათად იხმარება; პენსიაში გავიდა შესიტყვებასთან შედარებით თითქოს უპირატესობა აქვს პენსიაზე გავიდა შესიტყვებას. მაგრამ საკითხის განვითარების ტენდენცია ენაში საბოლოოდ გამოკვეთილი არ არის, არაბუნებრივი არც ერთი კონსტრუქცია არ ჩანს. ამიტომ მათი ნორმატიულობას საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. დროთა ვითარებაში ან ერთ-ერთი შესიტყვება მოიპოვებს უპირატესობას და სიტყვათხმარებიდან განდევნის მეორეს, ან -ზე და -ში-თანდებულისანი ფორმები მნიშვნელობათა მიხედვით განაწილდება ენაში.

16. გამონაკლისის სახით ენაში ასეთი ხასიათის დარღვევებიც შეინიშნება:

ა) „მან ყოველგვარი ნებათვის გარეშე სამზარეულოდან აივანში (უნდა იყოს: აივანზე) გასასვლელი კარი ყრუდ ჩაკეტა“ („თბილ.“); „სინათლე მესამე მეზობლის აივანში (უნდა იყოს: აივანზე) ენთო“ (ო. იოსელიანი), შდრ. იმავე ნაწარმოებში: „თითო ნათურადა კიაფობდა ზოგიერთი სახლის აივანზე“.

ბუნებრივი შესიტყვებებია: ლოჯიაში, შუშაბანდში გავიდა; ლოჯიაში, შუშაბანდში შუქი ენთო, მაგრამ: აივანზე გავიდა, აივანზე შუქი ენთო.

ბ) „საუკეთესო სტუდენტებს მთელი წლით კუბაზე (უნდა იყოს: კუბაში) გზავნიდნენ ენაში გასაწაფავად“ („თბილ.“).

კუბა. როგორც სახელმწიფოს სახელი, -ში-თანდებულისანი უნდა იყოს: -ზე-თანდებულისანი ფორმა მართებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას მსაზღვრელ სახელად კუნძული ახლავს: კუბაში (ივარაუდება სახელმწიფო) იმოგზაურა, მაგრამ: კუნძულ კუბაზე იმოგზაურა.

გ) „ალტაიზე ბევრი ეგზოტიკური ადგილია, რომლებიც ტურისტებს იზიდავს“ („კომ.“). უნდა იყოს: ალთაიში (ივარაუდება ალთაის მხარე). შდრ.: „ცენტრალურ ალტაიში (უნდა: ალთაიში) მწვერვალები 3-4 ათას მ აღწევს“ (სსრკ ფიზ. გეოგრაფია).

დ) „არ არის სწორი ხალხში გავრცელებული ამბავი, თითქოს წელს წასვლა აკრძალული იყოს შავი ზღვის ხანაპიროებში, ყირიმში“ („სოფლ. ცხოვრ.“). უნდა იყოს: ხანაპიროზე. შდრ.: „ეს სისტემა იწყება შავი ზღვის „ხანაპიროზე“ (ალ. ჯავახიშვილი).

ე) „დინამოელებმა კალენდარში შექმნილი „ფანჯარა“ სრულად გამოიყენეს. გუნდი ვარჯიშობდა ზღვისპირეთზე“ („ლელო“). უნდა იყოს: ზღვისპირეთში.

-ზე და -ში თანდებულთა ფუნქციურ მონაცვლეობასთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი მასალით არ ამოიწურება.

\* \* \*

კომისია ადგენს:

1. -ზე და -ში თანდებულთა გამოყენებისას გათვალისწინებულ იქნეს მათი თავდაპირველი ფუნქცია — მოქმედების ადგილის ჩვენება ზედაპირზე ან შიგ მყოფობის თვალსაზრისით. კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სახელებთან რომელიმე -ზე ან -ში-თანდებულის კონსტრუქციის მართებულობა ამ ნიშნის მიხედვით გადაწყდეს.

ა. ამის მიხედვით გარეგან შიგნით მიმართულებისა და შიგ მყოფობის მნიშვნელობის გადმოსაცემად ტრანსპორტის სემანტიკის სახელებთან მართებულ ფორმებად -ში-თანდებულის ფორმები იქნეს მიჩნეული: ადის, შედის, ზის... ავტობუსში, ტროლეიბუსში, ტრამვაიში, ვაგონში... ტრანსპორტში (და არა: ავტობუსზე, ვაგონზე, ტრანსპორტზე).

ბ. ბინაში/ბინაზე ფორმათა გამოყენებისას უნდა გაირჩეს ორი შემთხვევა: ერთი, როცა ბინაში/ბინაზე ფორმები შინ ზმნისართის ფუნქციით იხმარება. ამ მნიშვნელობით ბინაში/ბინაზე ფორმათა გამოყენება შეიზღუდოს და უპირატესობა ტრადიციულ შინ ზმნისართს მიეცეს: შინ ეწვია, შინ დაბრუნდა, შინ დაურეკა, ახალ წელს შინ შეხვდა (და არა: ბინაში/ბინაზე ეწვია, ბინაში/ბინაზე დაურეკა და მისთ.).

ასევე შეიზღუდოს შინ ზმნისართის ფუნქციით სახლში ფორმის გამოყენების შემთხვევები (სახლში ეწვია, სახლში დაურეკა კი არა: შინ ეწვია, შინ დაურეკა და სხვ.).

სხვა შემთხვევაში ბინაში/ბინაზე ფორმათაგან მართებულ შესიტყვებებს -ში-თანდებულის ფორმა ქმნის. ამავე დანიშნულებით -ზე-თანდებულის ფორმის გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად იქნეს მიჩნეული. საცხოვრებლად მგობრის ბინაში (და არა: ბინაზე) გადავიდა, დღესასწაულს ახლად მიღებულ ბინაში (და არა: ბინაზე) შეხვდა, მგობრები თავის ახალ ბინაში მიიწვია, მგობრის ბინაში ხანძარი გაჩნდა, პანაშვიდი გამართება განსვენებულის ბინაში და სხვ.

2. იმ შემთხვევაში, როცა -ზე და -ში თანდებულთა თავდაპირველი ფუნქცია დაჩრდილულია ან ხელშესახები არ არის, თან-

დებულთა პარალელური გამოყენებისას უპირატესობა მიენიჭოს ტრადიციულ კონსტრუქციებს, კერძოდ:

ა. სიტყვა **ქორწილი** — მიიწვია, მიიპატიჟა, იყო და მსგავსი სემანტიკის სხვა ზმნებთან ქართული სალიტერატურო ენისათვის ტრადიციული -**ში-თანდებულის**ანი ფორმით დარჩეს: **ქორწილში მიიწვია, ქორწილში მიიპატიჟა, ქორწილში იყო** (და არა: **ქორწილზე მიიწვია, ქორწილზე მიიპატიჟა, ქორწილზე იყო** და მისთ.).

ბ. ტრადიციული -**ში-თანდებულის**ანი ფორმით იქნეს წარმოდგენილი წელიწადის დროთა სახელები **ზაფხული** და **ზამთარი** სათანადო კონტექსტებში: **ზაფხულში, ზამთარში** (და არა: **ზაფხულზე, ზამთარზე**), მაგრამ: **გაზაფხულზე, შემოდგომაზე**.

გ. სალიტერატურო ენაში არსებული რეალური ვითარების შესაბამისად **მინდორ-სიტყვის** სწორი და ბალახიანი აღვილის მნიშვნელობით გამოყენებისას უპირატესობა -**ში-თანდებულის**ანი ფორმებს მიეცეს: **მინდორში გავიდა, მინდორში შეჩერდა, მინდორში ზის, მინდორში დგას, მინდორში შენიშნა, მინდორში წავიდა** (და არა: **მინდორზე გავიდა, მინდორზე შეჩერდა, მინდორზე ზის, მინდორზე დგას, მინდორზე შენიშნა** და მისთ.).

დ. სინონიმურ **მოედან-** და **მინდორ-** სიტყვათაგან სპორტული ტერმინის აღსანიშნავად უპირატესობა მიეცეს მნიშვნელობის მიხედვით ზუსტსა და ტრადიციულ **მოედანს**, **ფეხბურთის მინდორზე** (**მინდვრებზე**) კი არა: **ფეხბურთის მოედანზე** (**მოედნებზე**).

ე. ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული კალკირებული გამოთქმის **წესრიგში მოჰყავს** და **წესრიგზე მოჰყავს** მოცილე კონსტრუქციათა საკითხი ენობრივი ტრადიციის პრინციპის შესაბამისად -**ში-თანდებულის**ანი ფორმის სასარგებლოდ გადაწყვედეს: **წესრიგში მოჰყავს** (და არა: **წესრიგზე მოჰყავს**).

ვ. გათვალისწინებულ იქნეს ისეთი კონტექსტები, რომლებშიც **-ზე** და **-ში** თანდებულთაგან ერთ-ერთის გამოყენებას სიტყვის განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი განსაზღვრავს, ე. ი. როცა სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობასთან ტრადიციულად არის დაკავშირებული ერთ-ერთი (**-ზე** ან **-ში**) თანდებული. საკითხი აქაც ტრადიციულ ფორმათა სასარგებლოდ გადაწყვედეს, კერძოდ:

ა. გაირჩეს **ქუჩა** სიტყვის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევა: **ქუჩა -ზე-თანდებულის**ანი იქნება, როცა კონტექსტით რომელიმე კონკრეტული ქუჩის დასახელება ან მასზე მითითება ხდება.

მაგ.: ტაბიძის ქუჩაზე, ჩემს ქუჩაზე, ამ ქუჩის პარალელურ ქუჩაზე ცხოვრობს, მიდის, მიხეირნობს.

თუ კონტექსტით მხოლოდ ფაქტია ხაზგასმული და არა კონკრეტულად ის ქუჩა, სადაც ეს ფაქტი მოხდა, სიტყვა ქუჩა -ში-თანდებულიანი იქნება. მაგ.: ქუჩაში მიდის, ქუჩაში გავიდა, მანქანა ქუჩაში გააჩრა, ქუჩაში ხალხმრავლობაა (და არა: ქუჩაზე მიდის, ქუჩაზე გავიდა და მისთ.).

ბ. გზა, როგორც სავალი, მიმოსვლისა და მგზავრობისათვის განკუთვნილი ნაწილი დედამიწისა, სათანადო კონტექსტებში -ზე-თანდებულიანია: გზაზე (და არა: გზაში) ერთი კაცი მიდიოდა; დავიცვათ გზებზე (და არა: გზებში) მოძრაობის წესები.

თუკი გზა მოგზაურობას, მგზავრობას, სვლას აღნიშნავს, მაშინ სალიტერატურო ენა უპირატესობას -ში-თანდებულიან ფორმას ანიჭებს (-ში-თანდებულიანი ფორმის მნიშვნელობა აქვს სტილისტიკურად შეფერილ გზად ფორმას): გზაში (|| გზად) ნაკადულს ნაკადული შეემატება, მთელი დღე გზაშია...

გ. ბაზრის კონკრეტული მნიშვნელობით გამოყენებისას სათანადო კონტექსტებში უპირატესობა -ში-თანდებულიან ფორმებს მიენიჭოს. მაგ., სწორი და ბუნებრივი კონსტრუქციებია ბაზარში იყიდა, ბაზარში მიდის, ბაზარში მეგობარს შეხვდა, ბაზარში ხეტიალობს (და არა: ბაზარზე იყიდა, ბაზარზე ხეტიალობს...).

ბაზარი ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებისას (ე. ი. ბაზარი, როგორც საქონლის მიმოქცევის სფერო...) -ზე-თანდებულიანი იქნება: ხაშინაო ბაზარზე, საგარეო ბაზარზე, შავ ბაზარზე, წიგნის ბაზარზე...

4. მოცილე -ზე და -ში-თანდებულიან კონსტრუქციათაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭების დროს ვათვალისწინებულ იქნეს ზმნის სემანტიკა და მისი სინტაქსური უნარი. ვინაიდან მონაწილეობას იღებს/მონაწილეობს ზმნური ფორმები გრამატიკულად მართებულ კონსტრუქციებს მხოლოდ -ში-თანდებულიან სახელებთან ქმნიან, სწორედ ისინი უნდა იქნენ მიჩნეული ბუნებრივ და მართებულ კონსტრუქციებად. -ზე-თანდებულიანი კონსტრუქციებში, როგორც არამართებული, უკუგდებულ იქნეს. მაგ.: მონაწილეობას იღებს/მონაწილეობს საერთაშორისო ბაზრობაში, ტურნირში, ჩემპიონატში (და არა: მონაწილეობას იღებს/მონაწილეობს ბაზრობაზე, ტურნირზე, ჩემპიონატზე).

5. იმის გამო, რომ თანამედროვე ქართულში თითქმის თანაბარი სიხშირით იხმარება -ზე და -ში-თანდებულიანი შესიტყვე-

ბები პენსიაზე გავიდა და პენსიაში გავიდა, მათი ნორმატიულობის საკითხი გერჯერობით ღიად დარჩეს — პარალელური ხმარება და-საშვებად იქნეს მიჩნეული.

**თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია უმართებულო და მართებულ თანდებულებიან შესიტყვებათა ცხრილი.**

ინმარება	მართებული შესიტყვებებია
ავტობუსში/ავტობუსზე, ვაგონში/ვაგონზე, ტრანსპორტში/ტრანსპორტზე აღის, ზის	ავტობუსში, ვაგონში, ტრანსპორტში აღის, ზის
ბაზარში/ბაზარზე ყიდის, იყიდება, ხეტივლობს...	ბაზარში ყიდის, იყიდება, ხეტივლობს...
ა. ბინაში/ბინაზე მიიწვია, დაურეკა, ბინაში/ბინაზე მომსახურება, დაინერგა წამლის ბინაში/ბინაზე მითანის პრაქტიკა ბ. საცხოვრებლად მეგობრის ბინაში/ბინაზე გადავიდა, პანაშვილი გაიმართება განსვენებულის ბინაში/ბინაზე	ა. შინ მიიწვია, დაურეკა, შინ მომსახურება, დაინერგა წამლის შინ მითანის პრაქტიკა. ბ. საცხოვრებლად მეგობრის ბინაში გადავიდა, პანაშვილი გაიმართება განსვენებულის ბინაში.
ქორწილში/ქორწილზე მიიწვია, დაბატოვა, იყო	ქორწილში მიიწვია, დაბატოვა, იყო
ა. მინდორში/მინდორზე დაჯდა, შენიშნა, შეჩერდა.	ა. მინდორში დაჯდა, შენიშნა, შეჩერდა
ბ. ფეხბურთის მინდორზე ერთმანეთს შეხედნენ	ბ. ფეხბურთის მოედანზე ერთმანეთს შეხედნენ
ქუჩაზე/ქუჩაში მიდის, მისეირნობს, დგას, გაეცა, მანქანა გააჩერა	ქუჩაში მიდის, მისეირნობს, დგას, გავიდა, მანქანა გააჩერა
გზაზე/გზაში მიდის, მგზავრს რა გამოლევს, ხრეში ეყარა	გზაზე მიდის, გზაზე მგზავრს რა გამოლევს, გზაზე ზრეში ეყარა (მაგრამ: მთელი დღე გზაშია)
ზაფხულში/ზაფხულზე, ზამთარში/ზამთარზე	ზაფხულში, ზამთარში (მაგრამ: ვაზაფხულზე, შემოდგომაზე)
წესრიგში/წესრიგზე მოჰყავს	წესრიგში მოჰყავს
მონაწილეობას იღებს/მონაწილეობს ბაზრობაში/ბაზრობაზე, სპარტაკიადაში/სპარტაკიადაზე	მონაწილეობას იღებს/მონაწილეობს ბაზრობაში, სპარტაკიადაში, ჩემპიონატში

## კავშირთა ხმარების საკითხები

1. არა მარტო — არამედ... -ც, არა მხოლოდ — არამედ... -ც

1. საკითხი სინტაქსურ-სტილისტიკური ხასიათისაა. იგი ეხება წყვილი კავშირების (არა მარტო — არამედ, არა მხოლოდ — არამედ, არათუ — არამედ და სხვ.) მართებულად გამოყენებას.

2. მსგავსად აგებული წყვილი კავშირები (ყველა მათგანში მეორე წევრი არის არამედ) ორი სხვადასხვა ფუნქციით იხმარება:

ა) ერთგვარ წევრთა დაჯგუფება, შეერთება ეკისრება კავშირებს:

არა მარტო — არამედ

არა მხოლოდ — არამედ

არათუ — არამედ

მათ მაჯგუფებელი კავშირები ეწოდება.

მაგალითად: მოვიდნენ არა მარტო ბავშვები, არამედ მშობლებიც;

ან: არათუ ბავშვები მოვიდნენ, არამედ მშობლებიც.

ეს ნიშნავს: ბავშვებიც მოვიდნენ და მშობლებიც, მოვიდნენ ბავშვები და აგრეთვე მშობლები.

ამ ერთგვარი წევრები (ბავშვები და მშობლები) შეერთებულია, დაჯგუფებულია არა მარტო—არამედ წყვილი კავშირით. მაგ.: „ამათ [ბუნებს] გაბეზრებული ჰყავთ არა მარტო აღამიანები, არამედ შინაური ცხოველებიც“ (ი. გოგებ.).

(ე. ი. გაბეზრებული ჰყავთ აღამიანები და აგრეთვე ცხოველები, აღამიანებიც და ცხოველებიც).

„[სეტყვას] ვაზებისათვის არა მარტო მტევნები, არამედ ტოტები და ფოთლებიც კი დაემტვრია“ (ნ. ლომ.).

(ე. ი. დაემტვრია მტევნები და აგრეთვე ფოთლები, მტევნებიცა და ფოთლებიც).

იმას უნდა ეზრუნა არა მხოლოდ თავის თავზე, არამედ სხვაზედაც (ვ. ბარნ.)

(ე. ი. უნდა ეზრუნა თავის თავზედაც და სხვაზედაც).

ბ) ერთგვარ წევრთა დაპირისპირებას ასახავენ შემდეგი კავშირები:

არა — არამედ

კი არ — არამედ

მათ მაპირისპირებელი კავშირები ეწოდება.

მაგალითად: მოვიდნენ არა ბავშვები, არამედ მშობლები...

ეს ნიშნავს: ბავშვები არ მოსულან, მოვიდნენ მშობლები. ე. ი. მოსალოდნელი იყო ბავშვების მოსვლა, მათ ნაცვლად მოვიდნენ მშობლები. ერთგვარი წევრები დაპირისპირებულია შემასმენლით გადმოცემული მოქმედების თვალსაზრისით (ერთი ასრულებს ამ მოქმედებას, მეორე — არა).

„ჩვენ, ირმები, ენით კი არ ვლაპარაკობთ, არამედ თვალებით“ (ი. ევდ.).

(ე. ი. მოსალოდნელი იყო ენით ლაპარაკი, მაგრამ არ ლაპარაკობენ ენით).

„ეს ხმა სიჩუმეს კი არ არღვევს, არამედ ამძაფრებს კიდევაც“ (ს. კლდ.).

(ე. ი. მოსალოდნელი იყო დარღვევა სიჩუმისა, ხმა კი, პირუტყუ, ამძაფრებს მას).

„ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამც თუ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ“ (ი. გოგბ.).

(ე. ი. შედრკამის ნაცვლად ლომებად იქცნენ...).

ბოლო ორ წინადადებაში შეპირისპირებულია შემასმენლები — პირველი შემასმენლით გადმოცემული მოქმედება არ სრულდება, სრულდება სხვა მოქმედება, რომელიც კონტექსტით მოსალოდნელი არ იყო.

3. ეს წყვილი კავშირები გამოიყენება როგორც შერწყმულ, ასევე რთულ თანწყობილ წინადადებაში.

მაგალითად, შერწყმულია: მოვიდა არა მარტო გიორგი, არამედ თამარიც.

თანწყობილია: ამ საქმის გაკეთება არა მარტო ჩვენ მოვიდომეთ, არამედ მეზობლებიც დატრიალდნენ.

4. ამ წყვილ კავშირებთან ერთად ხშირად გამოიყენება დამხმარე გამაძლიერებელი ნაწილაკები: -ც, -ცა, კიდევ, აგრეთვე და სხვ.

5. წყვილი კავშირები არა მარტო — არამედ, არა მხოლოდ — არამედ, არათუ — არამედ..., ძველი ქართულიდან მოყოლებული, საკმაოდ ხშირად სახმარი კავშირებია. დღეს ისინი უპირატესად წიგნის ენაში იხმარებიან, ცოცხალი მეტყველება მათ გვერდს უფლის, განსაკუთრებით — არამედ კომპონენტს: იყენებს მხოლოდ პირველ ნაწილს, თანაც, ამჯობინებს კი არა, კი ნუ. ნუ კი-ს გამოყენებას.

6. წყვილი კავშირების შემადგენელი ნაწილები, ერთი მხრით, არა მარტო (არა მხოლოდ...) და, მეორე მხრით, არამედ ნებისმიერ

ადგილას არ შეიძლება ვიხმართ — მათი ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია.

7. რამდენადაც კავშირის ძირითადი ფუნქცია დაპირისპირება ან დაჯგუფებაა, ის ისწრაფვის ახლოს იყოს იმ წევრებთან, რომელთა დაპირისპირებასაც გადმოსცემს, ან რომლებიც უნდა დაჯგუფდეს.

8. ამიტომ ამ კავშირთა მართებულად ხმარების პრინციპი ორივე ტიპის წინადადებაში ერთია: კავშირი გარკვეულ ადგილს უნდა იჭერდეს წინადადებაში შესაპირისპირებელი თუ დასაჯგუფებელი წევრების მიმართ, სახელდობრ, იგი შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წევრის წინ უნდა დაისვას.

9. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შესაპირისპირებელი წევრი აუცილებლად კავშირის უშუალო მეზობლად უნდა იყოს. მას შეიძლება უძლოდეს (ე. ი. კავშირსა და ამ წევრს შორის მოექცეს) ამხსნელი სიტყვა ან სიტყვები: შემასმენელს — გარემოება ან დამატება; სახელით გადმოცემულ წევრს კი — განსაზღვრება.

მაგ: მოიბრძინა არა მარტო მეზობლის პატარა გოგონამ, არამედ მისმა უფროსმა ძმამაც.

აქ, საესებით მართებულად, დასაჯგუფებელი წევრები გოგონა და ძმა ორშემადგენლიანი კავშირის შესაბამის ნაწილთა შემდეგ არიან განლაგებულნი და, ასევე, საესებით კანონზომიერად, ამ წევრთაგან თითოეულს უძღვის თავისი ამხსნელები: მეზობლის, პატარა (გოგონა); მიხი, უფროსი (ძმა).

10. ამ წესის დარღვევა სტილის გაბუნდოვანებას იწვევს, აზრის ნათლად გადმოცემას ხელს უშლის, წინადადებას ამძიმებს.

ასეთი შემთხვევები გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. მაგ.:

„მხატვარი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე, არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონე“ („თბილ.“).

წინადადების პირველი ნაწილი („მხატვარი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე“) ქმნის შთაბეჭდილებას, მოლოდინს, რომ მეორე ნაწილში ლაპარაკი იქნება სარეკლამო საქმის სხვა მხარის გაუმჯობესებაზე, ე. ი. გაუმჯობესდება სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარეც და სხვა მხარეც. ამ შთაბეჭდილებას ქმნის არა მარტო-ს დასმა დამატების — „შინაარსობრივი მხარის“ — წინ. მაგრამ მეორე ნაწილში („... არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონე“) უკ-



ეე ირკვევა, რომ აქ მაჯგუფებელი კავშირის ნაწილი არამედ უკავშირდება „ავამაღლოთ“ ზმნას, რომელიც უნდა დაჯგუფდეს პირველ შემასმენელთან, ამისათვის კი საჭიროა პირველი შემასმენელიც მოსდევდეს კავშირს. ე. ი. უნდა იყოს ასე:

მხატვარი საშუალებას იძლევა არა მარტო გაეაუმჯობესოს სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარე, არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონეც.

ან სხვაგვარად: მხატვარი არა მარტო სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესების, არამედ რეკლამის მხატვრული დონის ამაღლების საშუალებასაც იძლევა.

„ეს მკვეთრად გააუმჯობესებდა არა მარტო ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც“ („კომ.“).

დასაჯგუფებელია ერთგვარი შემასმენლები: გააუმჯობესებდა და ხელს შეუწყობდა. კავშირებიც მათ წინ უნდა დაისვას. წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: ეს არა მარტო მკვეთრად გააუმჯობესებდა ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც.

„ეს მეთოდი განაპირობებს არა მარტო ყურძნის მოსავლას, არამედ საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო“ („კომ.“).

გადმოსაცემია შინაარსი, რომ ეს მეთოდი კიდევაც განაპირობებს რაღაცას და კიდევაც გვაძლევს რაღაცას. ეს აზრი რომ ნათლად იყოს ნათქვამი, საჭიროა შემასმენელთა სათანადო დაჯგუფება, რაც მაჯგუფებელ კავშირებს აკისრია, მაგრამ კავშირისა და შემასმენლის გარკვეული მიმართების ასახვა ხერხდება წინადადებაში სიტყვათა სათანადო განლაგებით — ერთგვარი შემასმენლები უნდა მოსდევდეს კავშირს. აქ კი კავშირის პირველ ნაწილს (არა მარტო) მოსდევს არა შემასმენელი, არამედ დამატება (არა მარტო ყურძნის მოსავალს). ბუნებრივია, მასზეა მახვილი და წინადადების პირველი ნაწილი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მეთოდი განაპირობებს, გარდა ყურძნის მოსავლისა, კიდევ რაღაც სხვასაც, აზრი რომ ნათლად გადმოეცათ, წინადადება ასე უნდა აგებულიყო:

ეს მეთოდი არა მარტო განაპირობებს ყურძნის მოსავალს, არამედ აგრეთვე საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო.

ასევე მკიდრო ურთიერთობაშია დაპირისპირებულ წევრებთან მაპირისპირებელი წყვილი კავშირები, მაგალითად:

„[გალაქტიონი] შემდეგში აქვეყნებს არა დეკლარაციებს ახალი ცხოვრებისადმი თანაგრძნობის შესახებ, არამედ ორგანულად იბრძვის სინამდვილის კონკრეტული, უშუალო და მხატვრული ასახვისათვის“ („ლიტ. საქ.“).

წყვილი მაპირისპირებელი კავშირის (არა — არამედ) პირველი ნაწილი (არა) წინ უძღვის დამატებას (დეკლარაციებს), ამიტომ მეორე ნაწილშიც საპირისპირო დამატებას მოველით, მაგალითად, ასე: აქვეყნებს არა დეკლარაციებს, არამედ ლექსებს; მაგრამ წინადადების მეორე ნაწილში გვეუბნებიან, რომ გალაქტიონი იბრძვის სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის. ე. ი. შესაპირისპირებელი წევრები შემასმენლებია (აქვეყნებს — იბრძვის) და კავშირის პირველ ნაწილს სწორედ შემასმენელი უნდა მოსდევდეს. ამ შემთხვევაში არა ნაწილაკის გამოყენებას აჯობებდა კი არ ეხმარათ. მაშინ მთელი წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა:

[გალაქტიონი] შემდეგში დეკლარაციებს კი არ აქვეყნებს, არამედ იბრძვის სინამდვილის კონკრეტული, უშუალო და მხატვრული ასახვისათვის.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კომისია ადგენს:

წყვილი კავშირების (არა მარტო — არამედ, არა მხოლოდ — არამედ...) ხმარებისას გატარდეს შემდეგი წესი: შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წევრები წყვილი კავშირის შესაბამისი ნაწილების შემდეგ უნდა იხმარებოდეს, მაგალითად, ასე: „ეს არა მარტო გააუმჯობესებდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც“.

დაუშვებელია დასაჯგუფებელ წევრთა დასმა მაჯგუფებელი თუ მაპირისპირებელი წყვილი კავშირების წინ, რადგანაც ასეთი უმართებულო სიტყვათგანლაგება აზრს აბუნდოვანებს.

საზღვრულის რიცხვი გაურკვეველი სიმრავლის  
აღმნიშვნელ მსაზღვრელთან

მსაზღვრელად გამოიყენება როგორც გარკვეული რაოდენობის (ზუსტი რიცხვის) აღმნიშვნელი სახელები, ისე გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელები. გარკვეული რიცხვით განსაზღვრული სახელები ქართულში (ძველშიც და ახალშიც) ყოველთვის მხოლოდობით რიცხვში დგას, ნორმის საკითხი მათთან არ ისმის. პარალელური (მხოლოდობითისა და მრავლობითის) ფორმები თავს იჩენს და საზღვრულის რიცხვიც მოსაწესრიგებელია გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან.

გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებად მიჩნეულია ატრიბუტული მსაზღვრელები, რომელთა ფუძეების მნიშვნელობა გულისხმობს სიმრავლეს (ერთზე მეტს) და საზღვრულს თუმცა არაზუსტად, მაგრამ მაინც რაოდენობრივად ახასიათებს. ამგვარ მსაზღვრელთა ერთი ნაწილი (ამდენი, იმდენი, ბევრი, მრავალი, უამრავი, აუარებელი, უთვალავი, უანგარიშო, უზომო, ურიცხვი, ზოგი, ყოველი და მისთ.) დასტურდება უკვე ძველი და საშუალი ქართულის ძველებში, ნაწილი უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, ზოგი კი სულ ახლახან გაჩნდა და დამკვიდრდა მხატვრული ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, პრესის ენაში.

ამგვარ სახელებს საერთო ისა აქვთ, რომ აღნიშნავენ ერთზე მეტს, მრავალს, ამიტომ ისინი მსაზღვრელებად მხოლოდ მაშინ გამოიყენებიან, როდესაც დასაშვებია საზღვრულით აღნიშნული საგნის სიმრავლე.

ამ სახის შესიტყვებებში მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, კონტაქტურად უკავშირდება საზღვრულს, თუმცა შესაძლებელია მსაზღვრელ-საზღვრულის დისტანციური კავშირიც, ე. ი. გათიშვა. კონტაქტური კავშირის დროს შესიტყვებათა უმრავლესობაში მსაზღვრელი პრეპოზიციურია. ასე იყო ეს ძველ და საშუალ ქართულშიც. პოსტპოზიციური მსაზღვრელი სათანადო შემთხვევებში სტილისტიკურ მიზნებს იყო შეფარდებული.

შესაბამისი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძველსა და საშუალ ქართულში გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან შეწყობილი საზღვრული სახელის რიცხვი არავითარ წესს არ ემორჩილებოდა. საზღვრულის რიცხვის არჩევისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სინტაქსის წევრთა არც პოზიციასა და არც გათიშვას. ერთმანეთის გვერდით ბუნებრივად იხმარებოდა:

უამრავი ძელი და უამრავი ძელები (საბა); ბევრი სიტყვა და ბევრსა ჯიხებსო (თეიმურაზ II); მრავალი ჯამი და ჭიქა და მრავალი მუნჯიბნი მეცნიერნი („რუსუდანიანი“); ამდონი შუამავალი და ამდონი წიგნები („ქართული სამართლის ძეგლები“); (უანგარიშო მთა და ბარი და უანგარიშო მკეცნი („ყარამანიანი“); ურიცხვი ქვეყანა და ურიცხვსა თვალ-გოარებსა („ბარამგურიანი“) და ა. შ.

მაგრამ, თუ იმავე ძეგლებიდან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილებით მაინც ჭარბობს მხოლოობითში საზღვრულის დასმის შემთხვევები; ეს იმგვარ შესიტყვებათა ხარჯზე ხდება, რომლებშიც საზღვრული თავისი გამორჩეული სემანტიკის გამო იგუებთ ოდენ მხოლოობითი რიცხვის ფორმას. ასეთი საზღვრულებია ე. წ. აბსტრაქტული, კრებითი და ნივთიერებათა სახელები, რომელთა მსაზღვრელებადაც განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა (და იხმარება დღესაც) გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები.

ქართული ენის განვითარებასთან ერთად ენაში თანდათან მრავლდება გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები და დღეს მათი რიცხვი ექვს ათეულს აღემატება. ესენია:

1. ზედსართავი სახელები: ბევრი, ცოტა, მრავალი, უამრავი, უთვალავი, აუარებელი, აურაცხელი, უანგარიშო, ურიცხვი, უზომო, დიდძალი... და ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელები: ქვეყანა (ქვეყნის), მილეთი (მილეთის), ზღვა.

2. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: ზოგი, რამდენიმე.

3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: ყველა, ყოველი, ცალკეული, სხვადასხვა.

4. ჩვენებითი ნაცვალსახელები: ამდენი, იმდენი, მაგდენი.

5. კითხვითი ნაცვალსახელი რამდენი.

6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი ათასი და განსაზღვრული რიცხვის აღმნიშვნელ ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული სახელები: ათეული, ასეული, ათასეული, არაერთი, თითო-ორთლა, შინაარსის მიხედვით მათ გვერდით დადგება რთულფუძიანი ზედსართავები: მრავალათეული და მრავალასეული, მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი.

7. ჩამოთვლილ სახელთაგან ზოგიერთი რთულ ფუძეს ქმნის -ნაირ(ი) და -გვარ(ი) ელემენტებთან შერწყმისას და ვიღებთ სახელებს, რომლებიც სავანს ახასიათებენ როგორც ნიშნის (თვისების), ისე რაოდენობის თვალსაზრისით. ამიტომ ისინიც მოექცევიან განუსაზღვრელი სიმრავლის გამომხატველ მსაზღვრელთა შორის. ეს სახელებია: ბევრნაირი, მრავალნაირი, ამდენნაირი, იმ-

დენაირი, რამდენაირი, რამდენიმენაირი, ნაირ-ნაირი, სხვადა-  
სხვანაირი, ყოველნაირი, ათასნაირი; ბევრგვარი, მრავალგვარი, ამ-  
დენგვარი, იმდენგვარი, რამდენგვარი, რამდენიმეგვარი, ნაირგვა-  
რი, სხვადასხვაგვარი, ყოველგვარი, ათასგვარი.

8. -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართული წარმოშობის  
ზედსართავი სახელები: ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულო-  
ბით, ათასობით, ათეულათასობით, ასეულათასობით, მილიონო-  
ბით, მილიარდობით.

9. არსებითი სახელები რიგი და წყება შემდეგი სახის შესა-  
მებებში: (მთელი) რიგი სტუდენტები, (ერთი) წყება მანქანები და  
მისთ.

ჩამოთვლილი მსაზღვრელი სახელები ერთმანეთისაგან განს-  
ხვადებიან წარმოშობით, შინაარსობრივი ნიუანსებით და ხმარე-  
ბის სიზშირით. მაგრამ, როგორც სათანადო მასალის შესწავლა  
მოწმობს, ამ მსაზღვრელებთან შესიტყვების მიხედვით დაკავშირე-  
ბული საზღვრული სახელის რიცხვი ქართული ენის განვითარების  
შემდგომ ეტაპებზედაც კვლავ ნებისმიერია — მხოლოდობითიც  
შეიძლება იყოს და მრავლობითიც. ამასთანავე, საზღვრულის ეს  
თავისუფლება თითქოს არც არაფრით არის შეზღუდული. ეს  
დასკვნა შეიძლება გავავრცელოთ როგორც კონტაქტურ მსაზღვ-  
რელ-საზღვრულზე, ისე დისტანციურზე (გათიშულზე), როგორც  
მსაზღვრელის პრეპოზიციურ შემთხვევებზე, ისე პოსტპოზი-  
ციურზე.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ტიპის შესიტყ-  
ვებათა შედგენისას და ენობრივად გაფორმებისას ზოგ შემთხვევა-  
ში შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს ამ მსაზღვრელთა  
ზემოხსენებულ სემანტიკურ ნიუანსებს. მაგალითად, ისეთი სახე-  
ლები, როგორიცაა მრავალი, უამრავი, აუარებელი, აურაცხელი,  
უანგარიშო, უთვალავი, ურიცხვი, რამდენიმე, არაერთი, თითო-  
ოროლა... უფრო გამოკვეთილად აღნიშნავს განუსაზღვრელ სიმ-  
რავლეს, ვიდრე სახელები: ამდენი, იმდენი, რამდენი, ყველა, ყო-  
ველი, ზოგი, სხვადასხვა, ცალკეული... რომლებიც, გარდა განუ-  
საზღვრელი რაოდენობისა, მიუთითებენ აგრეთვე შესაღარებელ  
ობიექტზე (ამდენი, იმდენი...), შეკრებილ, გაერთიანებულ სიმრავ-  
ლეზე (ყველა) ან, პირიქით, განმხოლოებულ, განთითვებულ მრავალზე (ყოველი, ზოგი, სხვადასხვა, ცალკეული). ამიტომ პირველი  
რიგის მსაზღვრელებთან უფრო ხშირად გვხვდება მხოლოდობით  
რიცხვში დასმული საზღვრული, ვიდრე მეორე რიგის მსაზღვრე-

ლებთან. უკანასკნელთაგან ამ მხრივ გამოირჩევა განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ცალკეული, რომელსაც საზღვრული სახელი, ჩვეულებრივ, შეეწყობა მრავლობითში („იმსჯელეს... ბრივადის ცალკეული წევრების ავკარგიანობაზე“, — ნიხ. მრუელა: „შევადართო ჩვენი რაიონი სხვა რაიონებს ცალკეული მონაცემებით“, — „ისგ სკოლაში“).

ყოველივე ეს კი იმას მოწმობს, რომ გვაქვს ნაირგვარობა და სიტყვლე. მართლაც, ახალი ქართული ენის ეს უბანი პარალელურ ფორმათა სიუხვით გამოირჩევა. ერთმანეთის გვერდით, ერთისა და იმავე მწერლის ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაწარმოებშიც კი გვხვდება, ერთი მხრივ:

ამდენ საქმეს, არაერთ უსაქმურსა და ყალთაბანდს, აუარებელი თოფ-ზარბაზანი, აურაცხელი მექანიზმის, ათახი ხიფათი, ათეული ნაცნობი ხმა, ასეული თვალი. ბევრი წყალმცენარე, დიდძალი ცხენოსანი, ზოგი დამრტყმელი, თითო-ოროლა ცნობა, იმდენი მოკლული, მრავალი წერო, მრავალნაირი ქართული კერძით, ათასგვარი ჭორი, სხვადასხვაგვარი პასუხი, რამდენი ხელისმომწერი, უამრავ ვარსკვლავს, უანგარიშო ბოდისს, უთვალავი მესერ-შმიტი, ურიცხვი ფარეში, ყველა შანდალში, ცოტა ქარხანა და მისთ.

ხოლო, მეორე მხრივ:

ათეულის ხანთლებით, ასეულ გეგმებს, ათასეული წლები, ათასნაირი ხმები, ბევრი ყმაწვილები, ბევრი ნაკლოვანებები, დიდძალი სტუმრები, ზოგი ფეხვები, თითო-ოროლა ფრაზები, იმდენი ჩიტები, მრავალი ნივთები, რამდენიმე ცნობები, სხვადასხვა შესაწირავები, უამრავი დროშები, უანგარიშო ჯამ-ჯიხვებით, უთვალავი სხივები, ურიცხვ პეპლებად, ყველა მებატონიებს, ცოტა ცნობები და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია დასახელებულ შესიტყვებათა ეს ნაირგვარობა და შესაბამისად ასწილია ამ პარალელიზმის მიზეზები. მაგრამ მოვლენის განვითარების ისტორია და თანამედროვე ვითარება გვაძლავს შეგნიშნოთ ისიც, რომ, თუმცა აღნიშნულ შესიტყვებებში საზღვრულის მრავლობითში დასმის შემთხვევები ჯერ კიდევ გვხვდება და არცთუ იშვიათად, მაინც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მნიშვნელოვნად შეიზღუდა ამგვარი შემთხვევები და შესამჩნევი გახდა საზღვრულის მხოლოობითში დასმის შემთხვევათა სიტარბე. ამას ხშირად

განაპირობებს შეგნებული დამოკიდებულებაც (მხოლოდობითი ჭარბობს წიგნიერთა მეტყველებაში).

შემთხვევითი არც ისაა, რომ მრავლობითში დასმული საზღვრული ძირითადად ლექსში შემოგვრჩა და შედარებით მკვიდრი ჩანს საგანგებო, განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოჩენულ მეტყველებაში. მაშასადამე, მრავლობითის ხმარება უმთავრესად სტილისტიკური მიზნებითაა შეპირობებული. საერთოდ კი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში საკმაოდ გამოკვეთილია ტენდენცია — სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან საზღვრული მხოლოდობითში დადგეს. ამ ტენდენციას უეჭველს ხდის უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული მხატვრული თუ პუბლიცისტური (ორიგინალური და ნათარგმნი) თხზულებების, თანამედროვე რესპუბლიკური პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა წყაროების (რადიო- და ტელეგადაცემების) ენის შესწავლა.

მხოლოდობითში საზღვრულის დასმის ტენდენციას მხარს უჭერს -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავთა მონაწილეობით შედგენილი შესიტყვებების აბსოლუტური უმრავლესობაც. მართალია, ამგვარად ნაწარმოებ სახელთაგან განუსაზღვრელი რაოდენობის გამოხატვის უნარი აქვს მხოლოდ სახელთა შეზღუდულ ნაწილს (ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით, ათასობით, ასეულათასობით, მილიონობით, მილიარდობით), მაგრამ მისი მოხმარების სფერო ენაში განუწყვეტლივ იზრდება და ფართოვდება. ათობით ექსპედიცია, ათეულობით ადამიანი, ასობით ჭიში, ასეულობით წლის მანძილზე, ასეულათასობით ზანგი, ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი. მილიონობით ქალი, მილიარდობით წლის განმავლობაში და მისთ. შესიტყვებები სულ უფრო მრავლდება ქართულ ენაში. ცხადია, მსგავსი შეხამებებიც გარკვეულ წვლილს შეიტანს აღნიშნული ტენდენციის განმტკიცებაში.

ამ ტენდენციას არ ექვემდებარება რიგი და წყება არსებითი სახელებით შედგენილი შესიტყვებები, რომლებიც ქართულში რუსულის გზით გავრცელდა და დამკვიდრდა.

რიგი და წყება სახელებით გამოხატულ მსაზღვრელებს თანამედროვე ქართულში საზღვრული სამგვარად უკავშირდება:

ა) მხოლოდობით რიცხვში დასმული საზღვრული შეთანხმებულია მსაზღვრელთან ბრუნვაში (რიგი აგრონომი და მეტყვე, მთელი რიგი რომანი და მოთხრობა...);

ბ) მრავლობით რიცხვში დასმული საზღვრული შეთანხმებულია მსაზღვრელთან ბრუნვაში (რიგი ქალაქები, მთელი რიგი სახელმწიფოები, ერთი წყება კალათები...);

გ) საზღვრული დგას მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში — რუსულისებურად (რიგი მკვლევრებისა, მთელი რიგი განყოფილებებისა, ორი წყება წიგნებისა...).

აღსანიშნავია, რომ პირველი და მესამე ტიპის დაკავშირება სიტყვებისა რიგი და წყება სახელებთან დღესდღეობით შესაძენველ იშვიათდება. მეორე ტიპის შეხამება კი არცთუ იშვიათია, თუმცა იგრძნობა, რომ აღნიშნული შესიტყვება ქართულისათვის ბუნებრივი ჯერ კიდევ არ გამოსდარა.

\* \* \*

ზემოთქმულის საფუძველზე, განხილულ შესიტყვებებში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად და ერთგვარობის დასამყარებლად კომისია ადგენს:

1. საზღვრული დაისვას მხოლოდობით რიცხვში, თუ მას გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელად ახლავს:

ა) ზედსართავი სახელები (ცოტა, ბევრი, მრავალი, უამრავი, უთვალავი, აუარებელი, აურაცხელი, ურიცხვი, უანგარიშო, უზომო) და ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელები (ქვეყანა, მიღეთი, ზღვა);

ბ) ნაცვალსახელები: განსაზღვრებითი (ყველა, ყოველი, სხვადასხვა), განუსაზღვრელობითი (ზოგი, რამდენიმე), ჩვენებითი (ამდენი, იმდენი, მაგდენი), კითხვითი (რამდენი);

გ) რაოდენობითი რიცხვითი სახელი ათასი და განსაზღვრული რიცხვის აღმნიშვნელ ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული სახელები (ათეული, ასეული, ათასეული, მრავალათეული, მრავალასეული, მრავალათასიანი, მრავალმილიონიანი, არაერთი, თითო-ორიოლა).

2. ამავე წესს დაექვემდებარონ საზღვრული სახელები, თუ ისინი შეესატყვისებიან -ნაირ(ი) და -გვარ(ი) ელემენტებთან შერწყმით და -ობ-ით სუფიქსის დართვით მიღებულ ზედსართავ სახელებს (ამდენნაირი, ბევრნაირი, მრავალნაირი, რამდენიმენაირი...; ამდენგვარი, ბევრგვარი, მრავალგვარი, რამდენიმეგვარი...; ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით...).



3. საზღვრული შეიძლება დაისვას მრავლობითში, თუ მას შესიტყვებაში მსაზღვრელად ახლავს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ცალკეული.

4. საზღვრული დაისვას მრავლობითში, თუ ის განსაზღვრულია რიგი და წყება სახელებით (იგარაუდება ისეთი შესიტყვებები, როგორცაა რიგი მკვლევრები).

5. დასაშვებად იქნეს მიჩნეული აღნიშნულ შესიტყვებებში საზღვრულის მრავლობითში დასმა პოეტურ და ექსპრესიულ მეტყველებაში.